

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვ. პაპასკირი

ფრაზეოლოგიური ლექსიკონი
(სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)
ტომი I (ა-ჰ)



რეკომენდებულია სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 04.03.2011, ოქმი №1

თბილისი
2011

“ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)” გათვალისწინებულია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, საზოგადოების ფართო წრისთვის. ნაშრომში განმარტებულია სიტყვათა მყარი შეთანხმებების იდიომატური მნიშვნელობები, “გაცოცხლებულია” უამრავი საინტერესო გამოთქმა. ბუნებრივია, წიგნს ვერ ექნება ყოვლისმომცველობის პრეტენზია, მაგრამ შერჩეული მასალა ფრაგმენტული ნამდვილად არ არის ფიგურალური სიტყვა-თქმები მათი დღევანდელი აქტუალურობის თვალსაზრისითაა წარმოდგენილი.

“ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)” საზრდოობს თითქმის ყველა გამოცემით, რომლებიც ქართული ლექსიკოგრაფიის ამ მიმართულებისთვისაა ცნობილი და იდიომური გამოთქმების მასშტაბურად წარმოდგენის ერთ-ერთი მცდელობაა.

რეცენზენტები: პროფესორი ვ. მალრაძე,
ასოც. პროფ. ქ. გიორგობიანი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011

ISBN 978-9941-20-016-8 (ყველა ტომი)

ISBN 978-9941-20-017-5 (I ტომი)

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



Arba volant,
scripta manet

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა იხდება კანონით.

წინათქმა

“ფრაზეოლოგიური (სიტყვათა მყარი შეთანხმების) ლექსიკონი” (I, II ტომი) ქართული ხატოვანი გამოთქმების თავმოყრის პირველი მცდელობა არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა ნამდვილად არსებობდა. ბევრი გამოთქმა, რომლებიც ძველ ლექსიკონებში გვხვდება, უკვე დაშორებულია თანამედროვე მუტუველებას და აღარ გამოიყენება. სამაგიეროდ, ენაში უხვადაა ისეთი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც ახალი დამკვიდრებულია სალიტერატურო თუ სასაუბრო ქართულში. მათი თავმოყრა, დალაგება და განმარტება ნამდვილად დროული და საჭირო იყო.

წინა ფრაზეოლოგიური გამოთქმების მრავლისმომცველი ლექსიკონია. ფრაზეოლოგიის როლი ამა თუ იმ ენაში განუზომლად დიდია. ენათმეცნიერების ეს დარგი, როგორც ცნობილია, მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ენის სისტემაში ფუნქციონირებას შეისწავლის. ფრაზეოლოგია მოიცავს ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, სიტყვათა თავისებურ დაკავშირებებს ანუ იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს.

“ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” განმარტებულია სიტყვების განსაკუთრებული, იდომატური მნიშვნელობა, კონტექსტის შესაბამისად. ყველასთვის ცნობილია, რომ იდიომი არ შეიძლება იყოს ცალკე აღებული სიტყვა. ის უნდა შეიცავდეს ორ კომპონენტს ჩაინც. იდიომი არის ამა თუ იმ ენის თავისებური დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშ-

ნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. მოცემულ წიგნში შესული გამოთქმები ორი ან მეტი სიტყვისგან შედგება.

წიგნში შესული მასალა აღებულია, ძირითადად, ქართული ფოლკლორიდან და კლასიკური ლიტერატურიდან. არის ფორმები, რომლებიც ქართულში სხვა ენებიდანაა შემოსული და დამკვიდრებული, თუმცა ისინი უკვე ისეა შესისხლ-ხორცებული ქართულ ენასთან, რომ უცხოური წარმომავლობის კვალი მივიწყებულია.

წიგნში გამოყენებულია მასალა შემდეგი წყაროებიდან: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII (1950-1964 წ.), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია), ტ. I ა-ბ, 2008 წ., ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986 წ., სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონა”, აღ. ღლონტის “ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა”, 1984 წ., თედო სახოკიას წიგნი “ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი” (I ტომი-1950 წ., II ტომი-1954 წ., III ტომი-1955 წ.), ნ. გამრეკელისა და ე. მგალობლიშვილის ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 1966 წ., ალექსანდრე ონიანის “ქართული იდიომები”, ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტური ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი თამარ ვაშაკიძე) და სხვ.

“ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ უამრავ საინტერესო გამოთქმას აცოცხლებს. წიგნში მოყვანილი ბევრი სიტყვათშეთანხმება უკვე დავიწყების გზაზე დგას. თუმცა, თუ დავაკვირდებით, საკმაოდ თანამედროვედ ჟღერს. ასეთი გამოთქმების წინ წამოწევა, ახსნა. მათთვის “სიცოცხლის” დაბრუნება ამდიდრებს თანამედროვე ქართულ

საღლიტერატურო თუ სასაუბრო ენას. გარდა ამისა, ამა თუ იმ გამოთქმამ წლების განმავლობაში გარკვეული ცვლილება განიცადა. რიგ შემთხვევაში, შეიცვალა თვითონ გამოთქმის ფორმა (ეს ცვლილება ხშირად დიალექტანაა დაკავშირებული. ზოგი ფრაზა, რომელიც ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტიდან მომდინარეობს, შეიცვალა და საღლიტერატურო ენის შესაბამისი სახე მიიღო), ზოგ შემთხვევაში კი შეიცვალა არა გამოთქმის ფორმა, არამედ შინაარსი. ეს ცვლილებები, ძირითადად, ნიუანსურია, მაგრამ მათი მიზნება და დაფიქსირება აუცილებელი იყო. “ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” სწორედ იმითაცაა ახალი და საინტერესო, რომ ასეთი გამოთქმები თანამედროვე მნიშვნელობითაა ახსნილი, თუქცა თითოეული იდიომი ისეა მოცემული და განმარტებული, რომ ეროვნული კოლორიტი არ დაიკარგოს.

“ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” ძირითად შემთხვევებში, სიტყვა-თქმების მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობაა განმარტებული, თუმცა შიგადაშიგ პირდაპირი გაგებაცაა მოცემული. ამასთან, თითოეული გამოთქმა თითქმის ყველა შემთხვევაში რამდენიმე სინონიმური მნიშვნელობის ფორმითაა განმარტებული. ზოგიერთ გამონათქვამს, ბუნებრივია, რამდენიმე გაგება შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, “ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” ასეთი ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა ახსნაა მოცემული. უცხოური ენებიდან მომდინარე სიტყვების ახსნის დროს ამ ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობაა დასახელებული.

“ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” მოცემული გამოთქმებიდან ბევრი ისეთია, რომლებიც ძალიან ხშირად იხმარება სასაუბრო თუ საღლიტერატურო ქართულში და მათი ფრაზეო-

ლოგიზმებისადმი მიკუთვნება ზოგს შეიძლება საოუილაც მოეჩვენოს, თუმცა ასეთი გამონათქვამები მაინც არაა პირდაპირი გაგების მქონე და, შესაბამისად, ფრაზეოლოგიურ მასალას მიეკუთვნება.

როგორც ვიცით, ქართული ენა მდიდარია ფრაზეოლოგიური შესიტყვებებით, იდიომებით და ამ ლექსიკონის მთავარი ღირსებაც ისაა, რომ ეს სიმდიდრე შეძლებისდაგვარადაა მასში ასახული. “ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” მოყვანილია უამრავი ფორმა, რომელთა შორის დიდი ნაწილი დიალექტებიდან მომდინარეობს. ქართული ენა მდიდარია დიალექტებით და, შესაბამისად, ფრაზეოლოგიური შესიტყვებებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შესაბამისად, “ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” შესული მასალა მდიდარია და მრავალფეროვანია.

ზოგი გამოთქმა ბიბლიიდან მომდინარეობს, ზოგი კი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას ეფუძნება, ძალიან ბევრი ანტიკური მითებიდან თუ სხვადასხვა ლეგენდიდან იღებს სათავეს, ზოგიერთი კონკრეტული მწერლის ცნობილი ნაწარმოებიდან ვიცით (ისეთები, როგორცაა, მაგალითად, “ქარის წისქვილთან ბრძოლა” სერვანტესის “დონ-კიხოტეიდან”). ხატოვანი სიტყვა-თქმანი ითარგმნება, თუმცა დღეს შეუძლებელია იმის დადგენა, საიდან მოდის, ვინ დაამკვიდრა, ან როგორ გავრცელდა. იდიომების დიდი ნაწილის წარმოშობა კი ცნობილია, მათი ისტორიაც საინტერესოა, თუმცა ამ შემთხვევაში, წიგნის ფორმატი ყველა მათგანის კრცლად დახასიათების საშუალებას არ იძლეოდა.

ლექსიკონი შეიცავს სომატურ იდიომებს, რომლებიც ენის ფრაზეოლოგიური მარაგის დიდ ნაწილს მოიცავს და

უძველესი წარმოშობისაა. წიგნში წარმოდგენილ ბევრ გამოთქმასში ფიგურირებს გეოგრაფიული სახელები, რაც პირდაპირ მიგვიანიშნებს ამა თუ იმ იდიომის წარმომავლობაზე.

წიგნში არის ამა თუ იმ გამონათქვამის კოგნიტიური ლინგვისტიკის ასპექტში ახსნის შემთხვევები, ადიომების კოგნიტიურ-პრაგმატული ანალიზის მცდელობა.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში უკვე არსებობდა ფრაზეოლოგიზმის ფუნდამენტური ბაზა, თუმცა მისი ახლებურად გადაძუწავება, გათანამედროვება, დღევანდელ ყოფასთან, ძეტყველებასთან, სალიტერატურო ენის ნორმებთან მისადაგება საჭირო საქმე იყო. ხშირ შემთხვევაში (ეს განსაკუთრებით რთულ სიტყვებს, კომპოზიტებს ეხება), ყურადღება უნდა გამახვილდეს ამა თუ იმ ფორმის მართლწერაზე. მსგავსი ტიპის ლექსიკონების ძველ გამოცემებში ესა თუ ის სიტყვა დეფინითაა დაწერილი, მაშინ, როდესაც თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, იგი დეფინის კარგე იწერება. არის შემთხვევები, როცა ერთი სიტყვის ნაწილები ცალ-ცალკე წერია, არადა დღეს ისინი მთლიან ლექსიკურ ერთეულად მოიაზრება. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, პირიქითაა. “ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში” ასეთ სიტყვებსა და გამოთქმებზე დიდი ყურადღებაა გამახვილებული და ისინი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული.

წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისთვის, ნებისმიერი წიგნიერი ადამიანისთვის. ეს წიგნი განსაკუთრებით ფასეული იქნება იმ მეცნიერთათვის, რომლებიც უცხოური ენების ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებზე

მუშაობენ. როგორც ცნობილია, უკვე არსებობს ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იდიომებსაც მოიცავს, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა ბოლო დროს ინტენსიურად მიმდინარეობს. “ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” დიდად დაეხმარება მათ, ვინც ამ სასარგებლო საქმეს მოჰკიდებს ხელს. ეს ლექსიკონი საჭიროა მათთვისაც, ვინც იდიომების კულტურათშორის დისკურსში განხილვაზე მუშაობს. ლექსიკონი დაეხმარება ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს.

მარიკა ზვიადაძე

5

აბრაამის ბატკანი – ცხვრის შვილი, აბრაამის კუთვნილი; გადატ. უდანაშაულო, უბრალო.

✓ თანახმად “დაბადებისა”, მამამთავარი აბრაამი ღიდად ერთგული იყო ღვთისა. ერთხელ ღმერთმა მოინდომა მისი გამოცდა და უთხრა: შემომწირე მსხვერპლად ერთადერთი ძე შენი ისააკიო. აბრაამმა დააწვინა თავისი შვილი, ყელი გადაუწია და, ის იყო, დანა უნდა გამოესვა, რომ ანგელოზმა დაუშალა და უჩვენა ჯაგვიანში დაბმული ვერძი, რომელიც მამას, ისააკის ნაცვლად, უნდა შეეწირა ღვთისათვის. აქედან მივიღეთ თქმა: აბრაამის ბატკანი.

აბრაამის ტაბლა – უხვი, ყოველგვარი სანოვაგით პირამდე სავსე სუფრა; გადატ. სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა.

✓ ასევე უწოდებენ გარდაცვლილის წლისთავზე სულის მოსახსენებლად გამართულ ტაბლას რომელიც სავსეა ყველა სახის საჭმელ-სასმელით.

აბრუს არ ბაიტმხს – არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ გაიტეხს, არ ეპუება; იხტიბარს არ გაიტეხს.

✓ აბრუ (აბრუსი) – სახელი, პატივი, ავტორიტეტი.

აბრუს არ იტმხს – სინდისს, პატიოსნებას არ უღალატებს; გადატ. თავს არ ირცხვენს, სახელს არ იტეხს, არ ეპუება, იხტიბარს არ იტეხს.

✓ აბრუ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს: აბ – სახე, პირი და რუ – წყალი ანუ ერთად: პირწყალი, რაც ქართულად, ხატოვნად შეესაბამება პატიოსნებას, სინდისს, სახელოვნებას.

პატივისცემას, კეთილშობილებას, მშვენიერებას. აბრუსაგან წარმოებულია: ბიბრუ (ბი უ, აბ - პირი, რუ წყალი) - უპირისწყლო, ე.ი. უსირცხვილო; გაბიბრუება შერცხვენა, თავლაფის დასხმა, თავის მოჭრა, გალანძღვა. ქუდის მოხდა.

აბრუს ბატმხა - აბრუგატეხილობა; გადატ. სახელის გატეხა, შერცხვენა; ნდობის დაკარგვა, ავტორიტეტის დაცემა.

აბრუს მოხვეჭა - სახელის, პატივის, ავტორიტეტის ქონა.

აბურაბანის ამოკპრა გადატ. გაძევება.

აბურად აიბღმბს - გადატ. არაფრად ჩააგდებს, დასცინებს, ანგარიშს არ გაუწევს და მით დაამცირებს.

✓*აბური არად ჩასაგდები, უპატიო.*

აბურად აბღმბა - გადატ. არარად მიჩნევა, არაფრად ჩაგდება, ანგარიშის გაუწევლობა, დამცირება.

აბურად ამბღმბი - ვინც სხვას არაფრად აგდებს, სხვისი დამამცირებელი.

აბურად იბღმბს - გადატ. არაფრად აგდებს, ანგარიშს არ უწევს და მით ამცირებს.

აბურად იღმბს - იგივეა, რაც აბურად იგდებს.

აბჯარში ჩამჯდარი შეიარაღებული. აბჯარ-ასხმული. თავით ფეხამდე, თავით ბოლომდე იარაღში ჩამჯდარი.

აბმრ როდის - დაგვიანებით, დაყოვნებით, დიდი ხნის შემდეგ.

აღამიანი წაქცევაზმა - ძლიერ დასუსტებულია, ღონეძილეულია, ილაჯგაწყვეტილია.

- ალამიანის (ალამიანური) შერი ღაქღება** – კარგი ფერისა, ჯანმრთელი გახღება, კარგ ფერზე მოვა. გამოჯანმრთელღება, მოფერიანღება, მომჯობინღება.
- ალამის (კაცის) ტომი** – გადატ. აღამიანი, ძეხორციელი, სულიერი არსება, აღამის შვილი.
- ალამის შამიღან** – გადატ. უსსოკარი, უძველესი ღროიღან.
- ალამის შამის** – გადატ. ძველისძველი, უძველესი.
- ალამის შვილი** – გადატ. აღამიანი, სულიერი არსება, ძეხორციელი.
- ალამის კი, აღამიანის კი** – იგივეა, რაც აღამის შვილი, აღამიანი, ძეხორციელი.
- ალამის წლისა** – იგივეა, რაც აღამის ხნისა, ღიღი ხნისა, ღრმად მოხუცებული.
- ალამის ხნის** – გადატ. ღიღი ხნის, ძალზე მოხუცი; ძველებური.
- აღგიღი უჭირავს** – გადატ. აღგიღი უკავია, აღგიღი მიკუთხვნებული, მიჩენიღი აქვს.
- აღგიღიღან მოწყვეტა** გადატ. სწრაფად ღაძკრა, გაქანება, გაჭენება (აღგიღიღან).
- აღგიღის ღეღა** – აღგიღის მფარველად წარმოდგენიღი, ზღაპრული, მითოლოგიური არსება.
- აღგიღს ვერ კოშღობს** – გადატ. ერთ აღგიღზე ვერ ჩერღება, მოუსვენრად არის, შფოთავს.
- აღენს ბღღვირს, ბოღს, მტვერს** – კორიანტელს აუყენებს. გადატ. სცემს, მიბეგვავს.
- აღვიღად იტყვის ენა** – საოტქმელად აღვიღია; გადატ. მეტად მძიმე შესასრულლებელია (რამე საქმე).

ადვილი სამსახური – ძნელი სასამსახურო არ არის; გადატ. მზადა ვარ გემსახუროთ, სურვილი აგისრულოთ, პატივი გცეთ.

ადრე და მალე – მოკლე ხანში, ძალიან მალე.

ადრე თუ გვიან – როდისმე, ახლო ან შორეულ მომავალში.

ადუღებულ (მდუღარე) წყალს დაასხამს – გადატ. უფრო, ძალიან გაამწარებს, ჭრილობაზე მარილს დააყრის.

აირივს სული და გული – გადატ. შეწუხდება, აღშფოთდება, წონასწორობას დაკარგავს, შეშფოთდება.

ავ დღეს დააწმის – იგივეა, რაც შავ დღეს დააყენებს, დაბადების დღეს აწყევლინებს.

ავ თვალს (მტრის თვალს, მტერს...) არ დაენახვება – გადატ. სასიამოვნო შესახედავია, ძალიან კარგია, - მშვენიერია, ულამაზესია, ტურფაა.

ავ თვალს არ ენახვება – გადატ. ძალიან კარგია, ლამაზია, მშვენიერია, თვალწარმტაცია.

ავ ცხვირს არ დასცემს – ავის მომასწავებელი არ იქნება; გადატ. 1. ხეირს ნახავს, კარგ ცხოვრებაში ჩავარდება. 2. საქმე კარგად წაუვა. 3. ბედნიერებას და სიკეთეს მოიპოვებს. 4. ყელზე არ დაადგება.

ავად თუ კარბად – ასე თუ ისე, არც თუ ავად, არც თუ კარგად.

ავად (უქმად, ამაოდ) დაურჩება – ამაოდ, უშედეგოდ ჩაუვლის, მიზანს ვერ მიაღწევს, წყალში ჩაეყრება.

ავად ხსენება – გინება, ლანძღვა, აუგად მოხსენიება.

აკადესსენებული – ნაგინები, გაღანძლული, შეურაცხყოფილი.

აკადმყოფობამ დამცადამაგლო; გადატ. აკადმყოფობა მოძერია, დამჩაგრა; დიდხანს ვერ მოვრჩი; დავსნეულდი.

აკადმყოფობას შმს ზე იხდის – (აკადმყოფი) ლოგინად არა წეება, (აკადმყოფობას) ზეზეურად, ლოგინში ჩაუწოლელად გამოივლის, გადაიტანს.

აკარდება და დაკარდება – გადატ. მეტისმეტად გაჯავრდება, გაბრაზდება, გაცხარდება, ბრაზისაგან ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, მეტად გაცეცხლდება.

აკენთი და დაკენთი – ცეცხლი მომეკიდა; გადატ. ძალზე გავბრაზდი, საშინელი ჯავრი მომივიდა, უკიდურესად გავეჯავრდი.

აკი დღის წაღება (ვინმესი) – ვინმეს უბედურების თან წაღება; გადატ. სიკვდილი, სიცოცხლის შეწყვეტა, უბედურება, ტანჯული ცხოვრება.

აკი თვალი – თვალი, რომელიც ადამიანს (თუ საქონელს, ცოცხალ არსებას) ვნებას, ზიანს აყენებს.

აკი თვალით არ ინახვება, ავ თვალს არ დამნახვება – გადატ. იტყვიან ძალიან კარგ, ლამაზ, მშვენიერ რამეზე ან ვინმეზე.

აკი თვალით ყურება – უკეთური, ბოროტი თვალით მზერა; გადატ. მტრულად, ბოროტად ყურება, ვინმესთვის სიავის მონღომება.

აკი ძარი აქვს ნაცემი – გადატ. სატკივარი რამ აშლია; ცუდად გამხდარა, ფსიქიურად აშლილა.

აპი ძარი ღამცემა – გაგიჟება, ჭკუიდან გადავა, გადაირევა.

აპი ძარი ხომ არ ღამცეშია? – აჲ სულს, მაცნეს ხომ არ შეუპყრიხარ?

აპი ძარის ღამცემა – გადატ. გაგიჟება, ჭკუიდან გადასვლა, გადარევა.

აპი (შაპი, ცხელი...) დღე დაადგება მძიმე მდგომარეობაში, გასაჭირში ჩავარდება.

აპის და კარგის ცოდნა -- ავისა და კარგის გარჩევა, ცოდნა იმისა თუ – რა არის ავი და რა არის კარგი; გადატ. შეგნება, ცოდნა ყველაფრისა, მიხვედრილობა. ჭკუისა და სიბრძნის ქონა.

აზარტში შეღის – თავდავიწყებით, გატაცებით ეძლევა (რამე გრძნობას, საქმეს...), აზარტული ხდება.

აზნაურობის მაძიებელი – ის, კინც ცდილობდა აზნაურობა დაემტკიცებინა (საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მთავრობა გარკვეული საბუთების მიხედვით უმტკიცებდა ქართველ თავადებსა და აზნაურებს სათანადო წოდებას; ზოგ აზნაურს იუ აზნაურობის მოსურნეს, საკმარისი საბუთი არ (ვერ) აღმოაჩნდა წოდებაში დამტკიცებისათვის; სწორედ მათ დაერქვათ “აზნაურობის მაძიებელნი”).

აზრები სხვაგან უძრის – სხვა რამეზე ფიქრობს, სხვით არის გატაცებული.

აზრზე არ არის – გადატ. არ იცის (რამე), წარმოდგენა არა აქვს (რამის შესახებ); არაფერი იცის, საქმეში სრულიად ჩაუხედავია.

აზრს აიღებს – მიხედება, მიაკვლევს, იფიქრებს.

აზრს გაატარებს – აზრს ჩადებს, ჩააქსოვს, აზრიანს გახდის, გააძინაარსიანებს.

აზრს (ჭკუას...) ღაატანს – დაუფიქრდება, ჩაუფიქრდება, დაუკვირდება.

ათაღან-ბაბაღან – მამა-პაპიდან; გადატ. უხსოვარი, ძალიან ძველი დროიდან.

ათასად იჭრებოდა – ათასად დანაწილება; გადატ. ერთი კაცის (ადამიანის) მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება; ბევრი გაჭირვებისათვის პასუხის გაცემა.

ათასი თოქიდან გამომკვრალი – მრავალგზის “დაზრჩობას” გადარჩენილი; გადატ. მეტად გამოცდილი, ბევრი გაჭირვების მნახველი და გადარჩენილი.

ათასი ქისა მარჩილი – ფულით სავსე ათასი ქისა; გადატ. ბევრი, აურაცხელი ფული, უთვალავი სიმდიდრე, ქონება.

მარჩილი – ძველი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა ს.მ აბაჯს.

ათასში ერთი – რიცხვით ძალიან ცოტა, იშვიათი.

ათასში ერთხელ, ერთს – ათასიდან ერთ შემთხვევაში თუ შევძლებ ისე, როგორც საჭიროა; გადატ. მეტად იშვიათად.

ათენ-ალამებს ბრძოლის ველზე (ანუ სხვაგან)

დღესა და ღამეს ატარებს ბრძოლის ველზე; გადატ. განუწყვეტლივ მუდამ, შეუსვენებლივ იბრძვის.

აინუნშიაც არ გაიტარებს – გადატ. არაფრად ჩააგდებს, არაფრად მიიჩნევს.

აინუნშიც არ (ჩა)იბღებს – გადატ. არაფრად აგდებას, ყურადღებასაც არ აქცევს, არცკი ამჩნევს.

აინუნშიც არ მოსდის – გადატ. ფიქრადაც არ მოსდის, არ ამჩნევს, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებას.

აირია მონასტერი – მონასტერში უწესრიგობა დამკვიდრდა, წესი და რიგი მოირღვა; გადატ. დიდი არევ-დარევაა, არეულობაა, უწესრიგობაა.

✓ ძველად მონასტრებში მოღვაწეობის მკაცრი წესები იყო დამყარებული. ეს წესები უმთავრესად გულისხმობდნენ სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას უმცროსისას უფროსისადმი. თუ ხსენებული წესები დაირღვეოდა, მონასტერი და მისი წეს-ჩვეულებაც აირეოდა. ასე რომ, “აირია მონასტერი” გულისხმობს დარღვევას და უგულებელყოფას, კანონდაუმორჩილებლობას.

აიღ-დაიღებს (აიღ-დაიღო, აუღ-დაუღია) – გადატ. აწონ-დაწონის, გაითვალისწინებს.

აიღებს და დაიღებს – გადატ. აწონ-დაწონის, ყოველმხრივ განჩხრეკს, განიხილავს, შეაფასებს, განჭვრეტს.

აკვნის დამღბმელი – გადატ. წამომწყები, საქმისთვის დასაბამის მიმცემი, საქმის დამწყები, მოთავე.

აკვნის დარწმვა (რამის) – გადატ. 1. წარმოშობა, ჩასახვა, აღმოცენება. 2. გარკვეული იდეისათვის მხარდაჭერა.

აკრძალული ხილი – აკრძალული რამ, დაუშვებელი, მიუღებელი.

ალაიაში ბატარება – ორ წყებად განლაგებულ ალაიანთა შორის გადაჯვარედინებულ თოფებქვეშ გატარება

დამარცხებულისა; გადატ. შერცხვენა, საჯაროდ გალანძღვა, გაბიარება, სახელის გატეხა, გამასხარავება.

ალალი არის! ალალი იყოს! – ეკუთვნის, ერგება; შეერგოს.

ალალმა დაუქროლა ალალმა წამოუქროლა; გადატ. 1. უცებ რაღაც მოუვიდა, რაღაც დაემართა, რაღაც შეემთხვა. 2. გადაწყვეტილების წამიერად შეცვლა.

ალაკმა (ღმერთმა, უფალმა) უფყის! – ღმერთმა იცის! ვინ იცის! არაუინ იცის!

ალიაქოთი აუტყდება – აურზაური, არევ-ღარევა, ხმაურობა, შფოთი, ალიაქოთი შეუდგება, მოუსვენრობა შეიპყრობს.

ალი-კვალად ჩაიყლაპა! – უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ალიკუდა – გადატ. კუდიანი; ეშმაკი, გაიძვერა, ცბიერი ქალი.

ალილო და ხვალაო – გადატ. ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება.

✓ სიტყვა ალილო სახეცვლილი ფორმით მიღებულია ბერძნული სიტყვისაგან ალილოუია, რაც ნიშნავს: აქებდეთ უფალს! ეკლესიაში, წირვა-ლოცვის დროს, ხშირად გაისმის ალილოუია. ალილო კი სახელია სიმღერისა, რომელსაც მღერისან საქართველოში შობაღამეს.

ერთი ალილოუია მღვდელსაც შეცდებო - შეცდომა ყველას მოუვო.

ალილოზე სიარული – ქრისტესშობის მილოცვა გალობითა და კარდაკარ სიარულით; გადატ. კარდაკარ სიარული, შინგაუჩერებლობა.

ალიონზე აღბა – ძალიან ადრე, სისხამ დილით აღბა.

ალიყურის ჭმევა – გადატ. სილის გაწნა.

ალიყურს აჭმევს – გადატ. სილას გაარტყამს, გააწნავს.

ალმაცერად ყურება – არაპირდაპირ, განზე ყურება; გადატ. უნდობლად, ეჭვით მოკიდება.

ალმაცერად ცქერა – იგივეა, რაც ალმაცერად ყურება.

ალმურის აკვრა (სახეზე) – იგივეა, რაც ალმურის ასვლა (სახეზე); გადატ. სახეზე სიწითლის გადაარბენა, ალექვა.

ალმურის ასვლა (სახეზე) – გადატ. გაწითლება, ალექვა.

ალმურის მოკიდება გადატ. 1. დამორცხვება. 2. გაბრაზება, გაცხარება, გაფიცხება, გულმოსულობა.

ალფა და ომება – გადატ. თავი და ბოლო, მთლიანად, ყველაფერი.

ალღოს აართმევს – აღღოს, გეშს აიღებს.

ალღოს ართმევა – იგივეა, რაც ალღოს, გეშის აღება.

ალღოს აუღებს – მიუხვდება, გაუგებს, სწორად შეაფასებს, განჭვრეტს.

ალღოს აღება გადატ. წინასწარ მიხვედრა, გაგება, შეტყობა; შეგუება, თავის გართმევა, განჭვრეტა.

ალჩუ დაუჯდება, კოჭი ალჩუს (ალჩუზე)

დაუჯდება – გადატ. საქმე კარგად წაუვა, ბელი ეწევა.

ალჩუს (ალჩუზე) უჯდება კოჭი – გადატ. კარგად აქვს საქმე; ბელი სწყალობს.

ალჩუს დაჯდომა – გადატ. საქმის კარგად წასვლა, გამარჯვება, წარმატების მიღწევა, ბელის წყალობა.

ამ სოფელს აღარ არის – გადატ. უგრძობლადაა. მალე აღესრულება, მოკვდება.

ამ სოფლის გაშვება – ამა სოფლის, საწუთროს სიამოვნებათა უარყოფა, განშორება; გადატ. ხორციელ სიამოვნებაზე ხელის აღება, სულის ცნონებისათვის ზრუნვა.

ამ სოფლის (ქვეყნის) მარანჩალა ქვეყნის ურგები, ქვეყნად გამოუსადეგარი ადამიანი.

ამ ქვეყანას დაბრუნება – გადატ. რამე მძიმე სენისაგან გადარჩენა.

ამ ქვეყნისა აღარ არის – გადატ. მოძაკვლავია, საცაა აღესრულება.

ამ ჩემს ვშხს -- გადატ. დარდი არა მაქვს, რა მენალვლება, რა ჩემი საქმეა! არ მაინტერესებს.

ამ წამში -- ახლავე; ძალიან მალე.

ამ წუთში – ახლავე, დაუყოვნებლივ.

ამაგს გასწმის – მზრუნველობას გამოიჩენს (ვინმეზე), ამაგს დასდებს, ყურადღებას გამოიჩენს, მიაქცევს, არ მოაკლებს.

ამაზე მეტი აღარ ჩავიდა ყელში – მეტი ვერ (არ) გადაძღის ყელში; გადატ. 1. გამოხატავს განწყობას. 2. მეტიც მოთმენა აღარ შეიძლება! მოთმინების ფიალა აივსო.

ამაოდ ჩაუტარებს უშედეგოდ, ფუჭად, ტყუილ-უბრალოდ გაირჯება.

ამას რა ტარაჩრელი კოვზი უნდა – გადატ. რა დიდი საქმეა, ადვილია, დიდი დავიდარაბა არ უნდა, ამის მიხედვით და გაკეთება არავის გაუჭირდება. ამ საქმის გაკეთება რა დიდი ბედენაა?!

ამას ჩიჩინი აღარ უნდა (ამას რაღა ჩიჩინი უნდა) – უდავოა, თავისთავად ცხადია, აშკარაა, ჭეშმარიტებაა.

ამბავი (ცნობა) მისდის – 1. ამბავი (ცნობა) მიაქვთ, ამბავს (ცნობას) ატყობინებენ. 2. მუდმივად ინფორმირებულა.

ამბავს მიიტანს – მივა და რაზე ამბავს იტყვის. გადატ. დაასმენს, უღალატებს.

ამბის ჩამტანი – ვინც ჩაეა და რაზე ამბავს შეატყობინებს (ვინმეს).

ამბორის ყოფა – იგივეა, რაც ნაზი კოცნა.

ამერიკის აღმოჩენა – გადატ. (ირონიულად) რაზე ისეთის, იმგვარის თქმა ან მტკიცება, რაც საყოველთაოდ ცნობილია.

ამილახვრიანში გადასწვდება – გადატ. წინდაუხედავად, დაუფიქრებლად იქცევი, წააგებ, იზარალებ, სიფრთხილე გმართებს.

ამინ და კირიე-ელეისონ! – უფალო, შეგვიწყალებ! გადატ. თანხმობის გამოცხადება: მორჩა და გათავდა!

✓ამინ 1. ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად (დასკვნითი სიტყვა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა). 2. ითქმის დასტურის ნიშნად.

ამინ – ებრაული სიტყვაა, ნიშნავს: ჭეშმარიტად. იგი ებრაელთაგან ქრისტიანებმა შეითვისეს და ეკლესიაში იყენებენ მღვდელმსახურების დასრულებისას. კირიეელეისონ ბერძნულია: კირიე – უფალო, და ელეისონ – შეგვიწყალებ. ამინსა და კირიეელეისონს იტყვიან ჩვეულებრივი საუბრისას.

რასი აიხის დასასრულს, რითაც ამბობენ: მორჩა და გათავდა, ასე იყო.

ამინდი დაუღებება – მოქმედებისათვის ხელსაყრელ, სასურველ ამინდს დაიჭერს. გადატ. სასურველი მდგომარეობა შეექმნება. მიზნის მიღწევა ადვილად შესაძლებელი გახდება.

ამომავალი მზეა, ჩამავალი მთვარეა

სიტურუთა და სილამაზით ამომავალი მზისა და ჩამავალი მთვარის მსგავსი; გადატ. მეტად ლამაზი, მშვენიერი.

ამოღებული ხმალია – მუდამ მზადაა მისაშველებლად. სხვისთვის დასახმარებლად და საიძედოდ; გადატ. 1. დაუზარალია, გაჭირვებისას ყოველთვის გვერდზე მდგომია. 2. სიძარტლის მთქმელია.

ამღვრება ბულისა – არევა, სიწმინდის დაკარგვა; გადატ. შეშფოთება, დანაღვლიანება, მოუსვენრობა.

ამღვრულ წყალში თევზის ჭერა – გადატ. არეგ-ღარევის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის.

ანგარიში ეშლება – ანგარიშში ტყუევდება.

ანგარიშის გასწორება – გადატ. სამაგიეროს გადახდა, მიზღვა, შურისძიება.

ანგარიშის გაწევა – გადატ. გათვალისწინება, მხედველობაში მიღება, ყურადღების მიქცევა.

ანგარიშის მიცემა – იგივეა, რაც ანგარიშის გაწევა.

ანგარიშს გაუსწორებს – გადატ. სამაგიეროს გადაუხდის. 2. დანახარჯს გაისტუმრებს.

ანგარიშს (დავთრებს) დაკარგავს – ანგარიში აყრევს, დაიბნევა, თავს დაკარგავს.

ანგელოზები ჩამოვატაროთ გადატ. გაკჩუძღეთ, ხმა არ ამოვიღოთ. ირგვლივ სიწყნარეში და სიძმვიდღემ დაისადგუროს.

ანგელოზების დაფრთხობა - გადატ. შექმნიება, დაფრთხობა.

ანგელოზებმა ჩამოიარეს (ჩამოიარა) გადატ. სიჩუმეა, ხმას არავინ იღებს.

ანგელოზებს დაუფრთხობს - გადატ. ძალიან შეაშინებს, დააფეთებს (ვინმეს).

ანგელოზებს უფრთხობს - გადატ. ძალიან აშინებს, აფეთებს, შიშის ზარს სცემს.

ანგელოზმა ჩამოიარა - გადატ. სიჩუმე ჩამოვარდა.

ანდერკად (ანდერკს) დატოვებს ანდერკად დააგდებს, ანდერკად დატოვებს თავის ნებას სიკვდილის შემდეგ აღსასრულებლად.

ანდერკად დააბღებს - ანდერკად დატოვებს, დაიბარებს.

ანდერკად დაღებული -- ანდერკად დატოვებული, ნაანდერძევი, დანაბარები.

ანდერკის აბება - იგივეა, რაც წესის აგება.

ანდერკს, ფისს აუბებს - მიცვალებულის გასაპატიოსნებლად აუცილებელ, საჭირო მღვდელმსახურებას შეუსრულებს.

ანიავებს ძონებას, სახლ-კარს... - ფლანგავს, აჩანავებს, ღუპავს ქონებას, ღოვლათს; გადატ. უპასუხისმგებლოდ იქცევა.

ანკმსზე მბება - გადატ. ვინმეს ხრიკების მსხვერპლი ხდება, - ტყუვდება, მსხვერპლი ხდება.

ანკენსზე წამოგება – გადატ. ვინმეს ხრიკების მსხვერ-
პლად გახდომა, მახეში გაბმა, მოტყუება.

ანკენის ბაღაბღება – გადატ. ცდა ვინმეს ან რამეს
ხელში ჩასაგდებად (მოტყუებით, ცბიერობით).

ანძაზე აცმული – გადატ. გატანჯული, გაწამებული,
ჯვარცმული, გაჭირვებაში მყოფი.

ანწუსზე აბება – გადატ. გატანჯვა, გაწამება.

წანწუხი – “წვეტიანი სარი”.

აპრიალეზულ ჩალასავით ჩაქრობა – უცბად,
მყისვე ჩაქრობა; დიდი ხნით თავის ვერ დაჭერა.

არ დაბასველოს, არ დაბასველებს – გადატ.
ზედმეტი არ მოგივა, არ გაწყენს.

არ მპითხება – მისი საქმე არ არის, არ ეხება; რა
მისი საქმეა. გადატ. ამ საქმესთან ხელი არა აქვს?!

არ მქმბს – არ დაგიდევს, არ ჩივის, არ ენაღვლება.

არ (ვერ) მქარება – ახლოს არ (ვერ) მიდის, არ
(ვერ) უახლოვდება, ურთიერთობას, კავშირს არ (ვერ)
იჭერს; ხელს (პირს) არ (ვერ) ახლებს; არ (ვერ) ხვდება.

არ (ვერ; არაფრად, ვერაფრად) მჭაშნიკება
– არ მოსწონს. არ მოეწონება, არ ესიამოვნება, ჭკუაში არ
[და]უჯდება, არაფრად (ვერაფრად) მოეწონება.

არ ითენა და აღარ იღამა – მისთვის არც გათენება
იყო და არც დაღამება. შეუსვენებლივ, განუწყვეტლივ, გამა-
ლებით საქმიანობდა.

არ მოგმცა ჭირი! – იტყვიან უკმაყოფილების გამოსა-
ხატავად. როდესაც სასურველი რამ არ ან ვერ ხდება
(აღსრულდება).

არ სცილდება (თავიდან, თვალნიდან...) გაძეღმებით ფიქრობს რამეზე (ვინმეზე), თვალწინ უდგას (ვისმე, რამე).

არ სძინავს – ყოველთვის მზადაა რამის მოსამოქმედებლად, მუდმივი მზადყოფნა.

[არ] უწერია (ბედი...) – (ბედი...) [არ] ეღიროსება, [არ] ხვდება წილად.

არ შეგცივდეს! – არ გაცივდე; გადატ. ირონ. არა დაგიშავდეს რა, ცუდი არ შეგემთხვეს.

√დაცინებით თქმაა – ვითომ არაფერი დაგიშავდესო! ნამძვილად კი მუქარაა – შეგცივა კიდევ და მეტიც მოვიყაო!

არ შეშავდება, არავის (არაფერს) შეშავდება – არავის ანგარიშს არ გაუწევს, არაფრად ჩაავლებს; არ მოერიდება; არ დაემორჩილება, ნებისმიერ წინააღმდეგობას დასძლევს.

არ ჩამყლაპო – გადატ. არ მომსპო, არ გამანადგურო! ნუ ხარ უზრდელი! (იტყვიან დამთქნარების დროს ზრდილობის შესახსენებლად).

არა, აღარა ღირს – 1. საჭირო არაა. 2. ინტერესის დაკარგვა.

არა მართი და ორი – ერთზე მეტი, - ბევრი, ძრავალი.

არა მცხო რა, არაფერი მცხო (ვინმესი ან რამმესი) – გადატ. სულ არა ჰგავდა (ვინმეს ან რამეს), არაფერი ჰქონდა.

არა სცხია-რა (ვინმესი ან რამმესი) სულ არ ჰგავს, არაფერი აქვს საერთო (ვინმესთან ან რამესთან).

არა უშავს რა, არაფერი უშავს – არაფერია, ნუ გეფიქრება! ცუდი არ არის, კარგია.

არა უჭირს რა, არაშერი უჭირს – არა უშავს რა, არაფერი უშავს.

არავითარ (ვერავითარ) შემთხვევაში – არასოდეს; არასდროს.

არამკითხე მოამბე გადატ. მეტიჩარა, ის ვინც სხვის საქმეში ზედმეტად და მოურიდებლად ერევა.

არას (არაშერს) უზამს – გადატ. 1. არ ეყოფა, ვერ დააკმაყოფილებს. 2. არაფერს დაუშავებს, ვერ (არ) დააზიანებს.

არას არიბებს – არაფერს აკეთებს.

არაშერ შუაშია – გადატ. მას არ ეხება, მისი საქმე არ არის, არ ეკითხვის, უბრალოა.

არაშერი აცხია (ვინმესი ან რამესი) – გადატ. სულ არა ჰგავს, საერთო არაფერი აქვს (ვინმესთან ან რამესთან).

არაშერი ბედენაა – არაფერი განსხვავებაა, არაფერს წარმოადგენს, არაფერს ნიშნავს, დიდი ვერაფერია.

არაშერი შვილია – დიდი ვერაფერი შვილია.

არაშრად აბღებს, არაშრად მიაჩნია – ანგარიშს არ უწევს, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

არაშრად (არად...) ჩააბღებს – ანგარიშს არ გაუწევს.

არაშრად ჩაბღება – ანგარიშის გაუწევლობა, არაშრად მიჩნევა.

არაქათი უფყდება არაქათი, ძალა ელევა, ძალა აღარ შესწევს.

არაქათის გამოცლა – დაუძღურება, ძალისა და მოძრაობის უნარის დაკარგვა (დალლილობისაგან).

არაქათს (სინსილას) გამონაცლის - ქეტისმეტად მოქანცავს, ძალ-ღონეს, მოძრაობის უნარს დაუკარგავს, დააუძლურებს.

არაშვილის ყოლა - გადატ. ცუდი, უვარგისი, არაფრის მაქნისი შვილის ყოლა.

არახუნებს მოშლილი წისქვილივით - აუწყობელი წისქვილის მსგავსად ხმაურობს; გადატ. უაზროდ, რამეს ლაპარაკობს.

არემ-დარევა შეაქვს - არევ-დარევას იწვევს, აურზაურს ტენს.

არემარეს ეკვრის - არემარეს ესაზღვრება, ექეზობლება.

არეული გუნება (გონება, ტვინი) - გადატ. დაუწყნარებელი, დაუმშვიდებელი, დაძაბული, აშლილი (გუნება, ტვინი...).

არეული თვალები (სახე, პირისახე) - გადატ. აბნეული, დაუმშვიდებელი, აღელვებული, აგზნებული თვალები (სახე, პირისახე).

არეული ლაპარაკი - აბნეული, უთავბოლო ლაპარაკი.

არეული ნაბიჯით - ბარბაცით, ტორტმანით, არამტკიცედ სიარული.

არნადით მოსახვეჭია - მხოლოდ არნადს შეუძლია ამათი თავმოყრა; გადატ. ბლომდაა, ბევრია.

✓ არნადი - სამეურნეო იარაღი.

არსენას ადლი - ქსოვილის (ფართლის) გადასაზომად არსენას მიერ დაწესებული ადლი; გადატ. მეტად გრძელი საზომი სიგრძისა, შეიდმტკაცელიანი ადლი.

არც ავიღე და არც დავიღე გადატ. 1. მსჯელობისა და დაფიქრების გარეშე. 2. ბევრი არ მიფიქრია, პირდაპირ ასე ვუთხარი, ან შევეუდექი საქმეს.

არც ამ მთისა, არც იმ მთისა – გადატ. ნებისმიერ მდგომარეობასთან, სიტუაციასთან შეუწონელი, შეუფერებელი, ჭკუისაგან შორსმდგომი: არც ავი, არც კარგი.

არც ამაშენებს, არც დამამძვვს – არც გამდიდრება შეუძლია ჩემი და არც გაღარიბება; გადატ. 1. ბევრი არ არის (თანხა), ანგარიშში ჩასაგდება არც კია! გინდ ყოფილა, გინდ არა. 2. ყოველგვარი მოფიქრებისა და მიზანდასახულობის გარეშე, ექსპრომტად.

არც აცვივა, არც აცხელა – სწრაფად, ანაზღად, დაუყოვნებლივ ჩადენა რამისა.

არც აცვივებს, არც აცხელებს – გადატ. ექსპრომტად, დაუფიქრებლად, სწრაფად, ერთბაშად იტყვის, იზამს (რამეს).

არც დღე, არც ღამე – არც დღის და არც ღამის განმავლობაში კეთდება რაღე; გადატ. თავის დღეში, არასდროს, სულ არა.

არც იწვირილა, არც იკითხა – გადატ. დაწვრილებითი ინფორმაციის უქონლად, ჰაიჰარად, ნაჩქარევად ქმნა რამისა, მოქმედება ყოველგვარი განსჯისა და გაანალიზების გარეშე.

არც კუჭსა ხვდეს, არც სულსა – გადატ. უმნიშვნელო, თითქმის არაფრის მომცემი, ერთი ბეწვა; მეტად მცირე საჭმელი, რომელიც შიმშილს სრულებით ვერ დააყუჩებს.

არც მკვლრებშია, არც ცოცხლებში მძიმე მდგომარეობაშია, გამოუსადეგარია, არაფრად მისაჩნევია, არად ჩასაგდება.

არც მწვადი ღაწვა, არც შამფური – გადატ. ისე მოხერხებულად (ეშმაკურად) გააკეთა საქმე, რომ არც ერთ მხარეს ავნო, არც მეორეს, არავის აწყენინა.

არც მწვადს ღაწვავს, არც შამფურს (არც მწვადი ღაიწვება, არც შამფური) – გადატ. არც ერთ საქმეს არ წაახდენს (არც ერთი საქმე არ წახდება), არავის აწყენინებს (არავის ეწყინება).

არც როდის – არასდროს, არასოდეს.

არც უიმისოა – ისიც (ესეც) დასაშვებია, ისიც (ესეც) ხდება ხოლმე.

არც უიმისობაა – ისიც შესაძლებელია, მოსალოდნელია; ისიც (ესეც) ხდება ხოლმე.

არც ფლავი, არც ჩლავი; რის ფლავი, რის ჩლავი – გადატ. არც ისა და არც ესა; არაფერი. არავითარი ამისი მსგავსი, არაფერიც არა.

არც ღვინო, არც წყალი – გადატ. 1. უხეირო, უგერგილო. 2. არც ცუდი, არც კარგი.

არც ცა და არც ქვეყანა – არავინ, არაფერი.

არც ცისა იცის, არც ქვეყნისა არც ცისა გაეგება და არც ქვეყნისა; გადატ. არაფერი იცის, სრულებით უვიცია, უგუნურია.

არც ჩვენ გვიძოვია ბალახი გადატ. არც ჩვენ ვართ უმეცრები, დასაბრძოლებლები, თქვენი დასაცინი არ გახლავართ, არაფრით ვართ თქვენზე ნაკლები.

ას მთას იქით – გადატ. ღმერთმა გადაგვარჩინოს უბედურებას, დაე, საშინელება ჩვენგან ძალიან შორს, ასი მთის იქით მოხდეს, აგვცდეს მწუხარება, დარდი და ნალველი.

ასავალ-დასავალი – გადატ. 1. სადაურობა, სადმყოფობა, საითომიძავლობა. 2. ვინმეს ან რამეს გზა-კვალი. 3. ამბავი ვინმეს ან რამეს შესახებ. 4. ყველაფერი ყველაფრის შესახებ.

ასე გასინჯეთ! – გადატ. თქვენ წარმოიდგინეთ!

ასე, ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო -- გადატ. დაუდგრომლობა, ორგულობა; მოწმობა უკვე უარყოფილისა, რაც ჭეშმარიტებას უარყოფს, ქმნა იმისა რაც მას ხელს აძლევს. ხასიათის ცვალებადობა, რწმენისა და დაძოკიდებულების მერყეობა.

(ასეთი ან ისეთი) სახელი (ხმა) აქვს დაპარღნილი – (ასეთი ან ისეთი) სახელი (ხმა) აქვს გავრცელებული.

ასეული ზღვები – რამდენიმე საუკუნე, მრავალი, უთვალავი წლები.

ასი-ასი – ასობით; გადატ. მრავალი, სულ ბევრი.

ასი ენა დაილაპარაკებს, ასი პირი დაიჩივლებს გადატ. ყველა დაემოწმება, ყველა იტყვის, რომ ეს ასეა.

ასი თვალი უყურებს – ბევრი, მრავალი შესცქერის; გადატ. რამის დამალვის ან მითვისების შეუძლებლობა.

ასი მზე მიღბა ცაშია – ზეციური ძალები მწყალობენ, კეთილად მიყურებენ; გადატ. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, უზომოდ გახარებული მაქვს გული, ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე არაყინაა.

ასკილის ყვავილობა გადატ. უკიდურესი ხელ-
მოკლეობის, უქონლობის, ჭირნახულის შემოღვევის დრო,
გაჭირვება.

ასლი და კვალნი მამაა – მამაშვილის ზედმწვექნითი
მსგავსება; გადატ. სულ მამასა ჰგავს (შვილი), პირწავარდნი-
ლი მამამისია.

ასქვიშა – ვისაც ასნაირი, ცვალებადი ხასიათი აქვს;
გადატ. ხუმტურიანი, ახირებული, უხიაგი, ჟინიანი.

ატონის გლახასმპრ სიარული სამათხოვროდ
სიარული; გადატ. თავგანწირვით, დაჟინებით მთხოვნელი.

ატუჩვით ყურება – გადატ. დაცინვით, ზიზღით, აგღე-
ბულად, უკადრისად ყურება.

აუგობაში ჩამორთმევა – აუგიანი ქმედება; გადატ.
ცუდკაცობა, სასირცხვილო საქმის ჩადენა, საძრახისობა.

აუტკივარ თავს იტკივებს – გადატ. განგებ იჭირ-
ვებს, ირთულებს საქმეს.

აუტკივარი თავის ატკივება – გადატ. აწყობილი
საქმის სახათაბალოდ გადაქცევა, (თავისი) თავის ცუდ
მდგომარეობაში ჩაყენება.

აულგებლი სუფრა – სუფრა, რომელიც განუწყვეტლივ
ახლდება და ერთთავად მიმდინარეობს; გადატ. განუწყვე-
ტელი, გაბმული ქეიფი, სმა-ჭამა, სუფრასთან ერთთავად
ჯდომა, გაბმით მოლხენა.

აზანცქალგული გული – მოუთმენლობით თუ
სიხარულით აძგერებული, ატოკებული გული.

აზრაკად ყოვნა – გადატ. თავში უქრის, თავში აკლია.

✓ *აფრაკი - თავქარიანი, მოსულელი, ჭკუანაკლევი.*

აზრას (აზრებს) აუშვებს – გადატ. იმოქმედებს თავის ჭკუაზე, როგორც მოეხასიათება, როგორც მოესურვება, განუხჯელად და გაუაზრებლად. მოქმედების (უფრო მეტად უპასუხისმგებლო ქმედების) თავისუფლებას მოიპოვებს.

აზრობა (ზრთაშმესმა) სიხარულისაგან – სიხარულისაგან მინიჭებული ნეტარება; გადატ. მეტისმეტად გახარება და უზომო სიხარულის განცდა.

აზრის აშვება – გადატ. შეუწონელი, მოუზომავი ქმედება; პირში თქმა ზედმეტად მკვახე სიტყვისა, ჩხუბი, ანჩნლობა; დაურიდებლად მოქცევა, აწყვეტა. მოქმედების ზედმეტი თავისუფლება.

ამ ბატყდა ტაბიკი – გადატ. 1. ამ დროს გაჭირდა საქმე, მის ასრულებას დიდი დაბრკოლება (თითქმის დაუძლეველი) შეექმნა, შეუძლებელი გახდა. 2. ყველაზე ძნელი ნაწილი რამე საქმისა.

ამ (ანი, სად) არის კაღლის თავი ჩამარხული – იგივეა, რაც აქ მარხია ძაღლის თავი; გადატ. აქაა მთელი საიდუმლოება.

ამ მარხია კაღლის თავი (კუღი) – გადატ. აქ რაღაც იმალება; სწორედ ამაში არის საქმე, ესაა ნამდვილი მიზეზი და საიდუმლოება.

აქაშვებული ცხენი – გადატ. დაღლილი, დაქანცული; გაფიცხებული (ჭენებისაგან) ცხენი.

აქეთ ვეცი – იქით ვეცი – იქითაც მივაწყდი და აქეთაც; გადატ. ყოველმხრივ ვეცადე, ყოველი ღონე ვიღონე, ყველასა ვთხოვე დახმარება.

აქმთაცაა და იქმთაცაა საკუთარი პრინციპისა და პოზიციის უქონლობა; გადატ. ყველას მოძნრეა ერთგული კი არავისი; ორგული, ორპირი.

აქილემისის ქუსლი – გადატ. ვინმეს (ან რაიმეს) სუსტი მხარე, სუსტი ადგილი.

აქლემი და ბალია?! – აქლემისათვის გალიის გაკეციება ვის გაუგონია!? გადატ. შეუფერებელი, შეუსაბამო.

აქლემის ბაკმთება – გადატ. მოტყუება, გაცრუება, ვინმეს ქონების შეჭმა - მითვისება გაიძვერობით, მოტყუებით, პირის გატეხით.

აღამაამადსანობა, მამათსანობა აღა – იგულისხმება აღა მაჰმად-ხანის შემოსევა და ბატონობა საქართველოში; გადატ. საქვეყნო უბედურების, ხალხთა შეუპირაღებლად, უღმობლად ჟლეტის დრო.

აღარ იცის, რა ქნას (რა მოახერხოს...)

იტყვიან, როდესაც დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილნი, ან მეტისმეტი მწუხარებისა თუ სიხარულისგან კვლარახერხებენ ვერაფერს.

[აღ]არც უფროსი იცის [აღ]არც უმცროსი (უფროს-უმცროსობა არ იცის...) – არ იცის

ასაკით უფროსთან როგორ მოიქცეს, – უზრდელია, თავხელია.

აღარც ცისა ვიყავ, აღარც მიწისა – არც ცის მკვიდრი ვიყავი და აღარც მიწისა; გადატ. არც ცოცხალი ვიყავი, აღარც მკვდარი.

აღას უნო მობცმეს! – (დალოცვის ერთერთი ძველი ფორმა). პირდაპირი მნიშვნელობით: ღმერთმა ბატონის გამჭრიახობა და უნარი მოგანიჭოს; გადატ. მოგეცეს მიხედ-

რილობა, სიმარჯვე, ხელგამომავლობა, წარმატება, გამარჯვება, მოხერხება.

ალგვა პირისაგან მიწისა – იგივეა, რაც მიწის პირიდან გაქრობა. მოსპობა, განადგურება.

აღდგომა გაუთენდა – აღდგომის დღე დაუდგა; გადატ. დიდი, სასიხარულო დღე გაუთენდა, ბედნიერება ეწვია, კეთილდღეობასა და საოცნებო მდგომარეობაში ჩავარდა.

აღდგომის გათენება – იგივეა, რაც აღდგომის დღის მოსვლა, დადგომა.

აღდგომის დღის მოსვლა – გადატ. ძლიერ გახარება, აღფრთოვანება, შვების და ნეტარების შეგრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო).

აღდგომის კვირცხი – კვირცხი, რომელსაც აღდგომისათვის წითლად ღებავენ; გადატ. გულის გამხარებელი, სალოლიავებელი, სასიამოვნო, გამორჩეული.

აღებული ეჭვი (გუჰანი) – მიტანილი ეჭვი (გუჰანი).

აღებული სისხლი – შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა.

აღვირის ამოდება – გადატ. შეზღუდვა, დამორჩილება, დამონება.

აღვირის ამოდება პირში – აღვირის თავის ნებაზე სატარებლად მორგება; გადატ. თავის ნება-სურვილზე გაუმკვებლობა, დამორჩილება, შეზღუდვა.

აღვირის აშვება – გადატ. თვითნებურად, თავისუფლად მოქმედების დაწყება, გათავხედება, თავის აშვება, შეუზღუდველობა.

ალვირის მიშვება – ალვირის გამოცლა; გადატ. თავისუფლად, შეუზღუდველად მოქმედების უფლების მიცემა.

ალვირს მიუშვებს – ალვირს მოაფომფლებს, მოადუნებს, ხელში ღუნედ დაიჭერს, ნებაზე წასვლის საშუალებას მისცემს (ცხენს); გადატ. თავისუფალი მოქმედების უფლებას მიანიჭებს.

ალვირს წაიხსნის -- თავს აიშვებს, თავის ნება-სურვილზე ივლის.

ალვირის წამოყრა – იგივეა, რაც თავის აშვება.

ალვირის წახსნა – იგივეა, რაც თავის აშვება.

ალვირს წაჰყრის – ალვირს წახსნის, ალვირისაგან გააიავისუფლებს; გადატ. თავისუფლებას მიანიჭებს, დამოუკიდებელს გახდის.

ალთჰმის ქვეყანა გადატ. საოცნებო, სანიეტარო ქვეყანა.

ალმა-ღაღმა და ბაღმა-გამოღმა იქაც და აქაც, წყალზეც და ხმელეთზეც; გადატ. ყველგან, ყველასთან.

ალმა მხვნელი და ღაღმა მზარცხველი

ყოველგვარ საერთო მიზანსა და სურვილს ძოკლებული, შეუთანხმებელი ქმედება, არასწორად ორიენტირებული; გადატ. საქმის უკუღმართად მკეთებელი, უნაყოფო შრომის გამწვევი, არაფრის გამკეთებელი, ცუდის, ავის მოქმედი, გასაკიცხავი საქციელის კაცი.

ალმა ხვნა და ღაღმა მზარცხვა გადატ.

ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედება, ურთიერთგამომრიცხველობა.

ალტაცეზაში მოღის – უალრესი სიამოვნებისა და მოწონების გრძნობით ივსება.

ალტაცეზაში მოჰყავს – უალრეს მოწონებას იწვევს, სიამოვნების გრძნობით ავსებს.

ალტაცეზაში, მხიარულებაში, გაკვირვებაში... შედის უალრესი ალტაცების, მხიარულების, გაკვირვების... გრძნობით ივსება.

ალუუ, ნეკზე არ მიკბინო – იტყვიან ზრდასრული ადამიანის შეუფერებელ, ბავშვურ, ყმაწვილურ ქმედებაზე, რითაც აშკარად მიახვედრებენ რომ იგი უკვე პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებაზე; გადატ. ბავშვობა, ყმაწვილობა დიდი ხანია უკან დარჩა.

აშას კვრა – გადატ. ცივი უარის თქმა, ხელალებით უარყოფა.

აშასა კვრავს – ხელალებით უარს იტყვის (ეტყვის), უარყოფს.

აწონ-დაწონა საქმისა – განსჯა-გაანალიზება; გადატ. დაკვირვებით შესწავლა, განჩხრეკა ვინმესი ან რამესი, დინჯი, მოზომილი შეფასება ღირსება-ნაკლოვანებისა.

ახალ მთვარესავით გამოჩნდება – გადატ. იშვიათად გამოჩნდება, იშვიათად დაენახვება.

ახალი (სხვა) სიო ღაჭმარავს (ღაჭმარავს) – გადატ. საზოგადოებრივ აზროვნებაში, ცხოვრებაში, ქვეყანაში ახალი, განსხვავებული ვითარება შეიქმნება, სხვა დრო დადგება.

ახალი ცოცხია იტყვიან იმაზე, ვინც ახალ საქმეს ხალისით და ენერგიულად შეუდგა.

ახალი ხილი – გადატ. შეუჩვეველი რამ. რისი აკარგიანობაც ჯერ არ გაუსინჯავთ.

ახალმა ნიავმა დაჰპრა – ახალმა სიომ დაჰქროლა; გადატ. ცვლილება მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყანაში... – უკეთესობა დაეტყო, ამოძრავდა.

ახლა კი - დავაბი ვირი ბაბაზე გადატ. მოვრჩი საქმეს, ავისრულე გულის წადილი, რაც მინდოდა, გავაკეთე, საზრუნავი არა მაქვს რა, არაფერი მადარდებს, შემძლია მოვისვენო.

ახლად დაბადება – იგივეა, რაც მეორედ დაბადება.

ახლოს არ მპარება – გადატ. სულაც არ მივა (მასთან), - გაურბის, ეკრძაღვის.

ახლოს ღვას (ვინმესთან), ახლოს არის (ვინმესთან) – დაახლოვებულია, დაკავშირებულია.

ახლოს მივა (მოვა) – დაუახლოვდება, მჭიდრო კავშირს დაამყარებს.

ახსენა ღმერთი, ვახსენოთ ღმერთი – ამბობენ რამე ძნელი საქმის შედგომისას, რათა უფლისაგან ხელი მოემართოს.

აჯაფსანღალი გახდაო – გადატ. ძალიან აირია საქმე, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებო.

[ა]ჰა ბურთი და ჰა მოედანი – გადატ. ვნახოთ, რასაც იზამ, რაც გამოვა, რით გამოიჩენ თავს!

ბ

ბაბილონის გოდოლის აშენება – ბაბილონის (ქალდეაში) კოშკის აგება; გადატ. ღრიანცელი, უაზრო ხისაური, არევ-დარევა, უთავბოლობა.

✓ ბაბილონი ძდინარე ევფრატზე მდებარე ძველი ქალდეას დედაქალაქი იყო. იგი აღმოსავლეთში უდიდეს და უძლიერეს ქალაქად ითვლებოდა. აღმოსავლეთით წამოსული ებრაელები აქ ღამკვიდრებულან და, თანახმად “ღაბალებისა”, განუზრახვით ქალაქისა და გოდოლის აშენება. ამ გოდოლის წვერი ცას უნდა მბჟგენოდა, რათა დაეძლიათ შიში დედამიწის ზურგზე გაფანტვისა. უფალი განრისხებულა მათ ამპარტავნობაზე და ასეთი განზრახვაზე ხელი იმით აუღებინებია, რომ მათთვის ენა აურევია (ერთმანეთში სხვადასხვა ენაზე დაუწყიათ ლაპარაკი), ერთიმეორისა არაფერი გაეგებოდათ და იძულებული გამხდარან ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე. დღეს სურათხატოვნად ვამბობთ – ბაბილონის გოდოლიო, ისეო საქმეზე, ან აღამიანთა კრებულზე, სადაც უთავბოლოდ არეულია ყველაფერი, ერთიმეორისა არაფერი გაეგებათ, ერთი ალთას მიიწევს, მეორე ბალთას, ძაღლი პატრონს ვერ სცნობს...

ბაბითაბან თაფლი ფშითაჰს – იგივეა, რაც თაფლი გაღმოსდის პირიდან.

ბაბის ბახლქია – გადატ. გაცინება, გაღიმება.

ბადეს ესპრის – გადატ. ხრიკებს მოუწყობს, მახეს დაუკებს.

ბადეში გაბმა – ბადეში გახვევა; გადატ. ვაძოუკალ მდგომარეობაში ჩავარდნა, ვინმეს სრიკების მსხვერპლად გახდომა, მახეში გაბმა.

ბადეში გახვევა – იგივეა, რაც ბადეში გაბმა.

ბადის გაბმა – იგივეა, რაც მახის დაგება.

ბადის დაგება – ბადის გაწყობა დასაჭერად; გადატ. განზრახვა მოტყუებით, ეშმაკობით რამეს ხელში ჩაგდება, დაპატრონებისა.

ბაიბუად არ იბღებს – იგივეა, რაც ბაიბურად არ აგდება.

ბაიბუად არ ივლის – იგივეა, რაც ბაიბურად არ აგდება.

ბაიბურად არ აბღებს – გადატ. არაფრად აგდება, ყურსაც არ იბერტყავს, ყურადღებას არ აქცევს.

ბაიბური არ ისმის – გადატ. ჩამიჩუმი არ ისმის, არავითარი ხმაური არ არის, სრული სიჩუქა.

ბაიბურში (ბაიბურად) არ აბღებს, ბაიბური არა აქვს – არაფრად მიიჩნევს, ყურს არ იბერტყავს.

ბალანი აეშლება – შიშის (ან გაბრაზების) გამო ბალანი აეშლება, ყალყზე დაუდგება; აგრესიულად განეწყობა.

ბალანს აუშვებს – იგივეა, რაც ბალანი აეშლება.

ბალანს აუშლის გადატ. შავ ღღეს დააყენებს, შიშის ზარს დასცემს.

ბალბა არ მომიხარშო – გადატ. ვერაფერს მიხამ, ვერაფერს დამაკლებ, ვერ დამაზარალებ.

ბალი დაუკრა – დაეთანხმა; გადატ. სხვის წინაშე ქელი მოიხარა, სხვას მორჩილება გამოუცხადა.

ბალის ღაკვრა – გადატ. დადასტურება, კვერის დაკვრა.
ბალნის აშვება – გადატ. გაბრაზება, გულის მოსვლა, აგრესიულად განწყობა.

ბალნის აშლა – გადატ. შეშინება, გულის გახეთქვა, აღელვება, გაბოროტება, გულის მოსვლა.

ბანაკს (პარავს, ბინას) დასცემს – 1. ბრძოლისას ას ღაშქრობისას დაბანაკდება, დაბინავდება. 2. ფეხს მოიკიდებს, ახალ გარემოში ადაპტირდება. გაჩვევა.

ბანჯე აბდება სიტყვისა – თავის არიდება მთავარი საკითხისადმი; გადატ. პირდაპირი პასუხის მიუცემლობა რამე ნათქვამზე ან რეპლიკაზე, მსჯელობის საგნის მიფუჩეჩება, თავიდან აცილება პირდაპირი პასუხის მიცემისა, საკითხის გარშემო ბუნდოვანი საუბარი, განგებ დაბნელება, გაბუნდოვნება აზრისა თუ ნათქვამისა.

ბანის თქმა – გადატ. მნიშვნელოვანი დახმარება, შეწვევა, შეგულიანება; შველა, თანხმობა, მიხმარება, საქმის გაკეთებინება, მიკვლევა, მოწონება, წაქეზება.

ბანის მიცემა – გადატ. 1. საქმეში, ქმედებაში აყოლა, გამიხმაურება; დადასტურება, დათანხმება. 2. რაიმე იდეის განსორციელებაში თანამონაწილეობა.

ბანს აძლევს – გადატ. 1. დასტურს აძლევს, კვერს უკრავს. 2. რაიმე საქმეში, ქმედებაში აყოლა.

ბანს ეუბნება – იდეას, წამოწყებას ეხმიანება, მხარს უჭერს. იწონებს.

ბანს უკან და კარს უკან – გადატ. გამოსაჩენი არა ვარო, დამალულები უნდა ვიყოთ, სახლიდან არ უნდა გამოვიდეთ.

- ბანსა და მრლოს თავზე დავაქცევ** სახლს ისე დავუნგრევ, რომ მისი ბანი და ერლო თავზე დაექცეს; გადატ. მოვსპობ, გავანადგურებ.
- ბარაქალა დედაპაცი** – ღვთისწყალობიანი დედაკაცი; გადატ. ყოჩალი, ხელგამომავალი, ხელფურჩი, გამრჯე.
- ბარაქას მოიკიდებს** – ბარაქიანი, სკავიანი გახდება.
- ბარბი აიპრა** – გადატ. წავიდა, აქაურობას გაეცალა, მოგვეშორდა; როგორც იქნა მოგვეცილდა.
- ბარბის აპრა** – გადატ. წასვლა, აყრა, საცხოვრებელი ადგილის დატოვება.
- ბარს დაჰპრავს** – გადატ. ახალ მშენებლობას, ახალ საქმეს დაიწყებს, მოეკიდება.
- ბარაქა ეკიდება** – ბარაქა ემატება, სკავიანი ხდება.
- ბარი დაჰპრა (აღბილს საღმე)** – გადატ. პირველი ნაბიჯი ქმედების დასაწყებად, სოფლის ან ქალაქის დასაარსებლად, რამე საქმის დასაწყებად, მიზნის განსახორციელებლად.
- ბატონი ბრძანდებით! ბატონი ხარ!** თქვენი ნებაა! როგორც გსურთ, ისე იყოს! კარგი! თანახმა კარ!
- ბაქმბის ბაშლა** – დაშინება; გადატ. მუქარა, ტრაბახი, სხვისი მოტყუება.
- ბაჭბაყდვი სძალა** – მეტად ძლიერი დევის ფიზიკური ძალა; გადატ. უშნო ტანადობის, უზარმაზარი, დიდი ძალის, უძლეველი ფიზიკური ღონის პატრონის, ამოუწურავი, ჯადოსნური შესაძლებლობა.
- ბახ უსთან მუსაიში** – გადატ. ღვინის სმა; სიმთვრალე; ლოთობა, სასმელთან (ღვინოსთან) შეტკობა.

ბახუსის სტუმარი – გადატ. ღვინის მსმელი, დროს ტარების მოყვარული.

ბაჯალლო ოქრო, ბაჯალლო – წმინდა ოქრო; გადატ. სრული ჭეშმარიტება, სიმართლე, ძვირფასი, უებრო, ფასდაუდებელი, ხალასი.

ბღღვირის აღენა – გადატ. მორევა, დაჩაგვრა, ყველაფრის წართმევა, განადგურება, გაცამტვერება; ცემა, ზურგზე ბოლის აღენა.

ბებიას ხელი დაშკრავს – ბებიაქალს ხელი წამოურტყამს ახლადდაბადებულისათვის; გადატ. ბედნიერია, საკვსე ყოველგვარი სიუხვით, ქუდბედიანია.

ბედად უფერია – გადატ. მისი წილზედერია, აუცილებლად შექმთხვევა, მხოლოდ ასეა (ამგვარადაა) შესაძლებელი, სხვანაირად არ იქნება.

ბეღემ ფხის დაჭერა – გადატ. ბედის მოწყდომა, სიკეთის არიდება, სიკეთეზე უარის თქმა, თავის ცუდ ყოფაში ჩაგდება.

ბედთან შეყრა – გადატ. გაბედნიერება, სიკეთესთან თანაზიარობა, გამარჯვება, წარმატება.

ბედი (ბედის ჩარხი) წალმა (უკუღმა) დაუტრიალდება – ბედი წალმა (უკუღმა) შეეცვლება, საქმე კარგად (უბედურად) წაუვა.

ბედი (ბედნიერება...) ეფევა – ბედი გაუმართლებს, ბედნიერება ეწვევა, ბედი კარზე მოადგება, საქმე კარგად წაუვა.

ბედი გაეხსნება ბედს, ყისმათს ეწვევა.

ბედი დაეპარებება – იგივეა, რაც ბედს დაკარგავს, უყისმათოდ დარჩენა.

- ბელი ეწვევა** – იგივეა, რაც ბელი კარზე მიაღგება.
- ბელი კარზე მიაღგება** – ბელნიერი შემთხვევა ძიეცემა, ბელნიერება ეწვევა, ყისმათიანი გახდა.
- ბელი მუშაობს** – ბელი სჭრის; ბელისგანაა.
- ბელი სწყალობს** – საქმე სასიკეთოდ (კარგად) ძიულის.
- ბელი უღიმის** ბელი სწყალობს, - ბელნიერდება.
- ბელი (ყისმათი) უჭრის** – ბელი აქვს, ბელი სწყალობს.
- ბელით დამწვარი, დამწვარი ბელისა** – იგივეა, რაც ბელდამწვარი, - უბედო. უყისმათო.
- ბელის ამარად (ღვთის ამარად) დატოვებს**
უპატრონოდ დააგდებს, სულ არ მიხედავს, ღვთის ანაბარა.
- ბელის ანაბარა (ამარა)** – მხოლოდ ბელის მოიმედდ დარჩენილი, ყოველგვარ დახმარებას მოკლებული.
- ბელის (ბელის ჩარხის) ტრიალი** აღამიანის წილხვედრის ცვლა, კარგის (კუდით შეცვლა და - პირუკუ.
- ბელის (ბელის ჩარხის) წაღმა (უკუღმა) დატრიალება** – ბელის, ხვედრის წაღმა (უკუღმა) შეცვლა.
- ბელის ბორბალი (ბელი) დატრიალდება (ვინმესკენ)** – ბელი ეწვევა, ბელი გაუღიმებს, ყისმათი მოუვა (ვინმეს).
- ბელის ბაბრუნება** – გადატ. ბელნიერების მოძორება, არიდება, უბედოდ დარჩენა, გაუბედურება, უყისმათობა.
- ბელის ბაღიმება** – გადატ. მოულოდნელად კარგი რამის შემთხვევა, ბელის წყალობა.
- ბელის ბაშაშება** – გადატ. ცუდად წასვლა საქმისა, დაღუპვა, დამარცხება, გაუბედურება.
- ბელის ბაჭრა** – გადატ. ბელიანობა, მოგება, გამარჯვება.

ბედის ბახსნა – გადატ. ბედნიერება, გამარჯვება, წარმატება, საქმის კარგად წასვლა, ხელის მოძარტვა.

ბედის პარსკვლავი – გადატ. 1. საყვარელი არსება: საქმრო, საცოლე. 2. ბედ-იღბლის, ყისმათის ძებნა.

ბედის კარზე მოღბომა – გადატ. ბედნიერი შემთხვევის მოსვლა, გამოჩენა, ყისმათის კარზე მოღვომა.

ბედის კარს ბაშუმბს (ან ღაშუმბას) – გადატ. ბედნიერებას მიანიჭებს, კარგ ბედს უწყალობებს (ან წაართმევს).

ბედის მაღლიერი – გადატ. კმაყოფილი, ბედნიერი, წადიღასრულებული, ყისმათიანი.

ბედის მიბღება სხვაზე – გადატ. სხვის იმედად ყოფნა, თვითმოქმედების უნარის მოკლება.

ბედის ტრიალი – გადატ. უიღბლობა, უყისმათობა.

ბედის ცდა – რამეს გაკეთების, მოგვარების ძედელობა.

ბედის შიკვრა – გადატ. საქმის ცუდად წასვლა, უბედურება, ღამარცხება, ზარალი, უმოქმედობა.

ბედის წევა – გადატ. გაბედნიერება, ხელის მოძარტვა, ავსება ყოველი სიკეთით; ყისმათიანობა.

ბედის წყალობა – ბედი წყალობას არ აკლებს; გადატ. ყველაფერში ხელის მოძარტვა, ყველაფერში წარმატება.

ბედისკვერმა იტაზა (უტაზა) – ბედისკვერის თონეში ჩაყარღნა, - ვის ბედზეღაც კვერი ცხეებოღა, მისი საქმე ცუდად წავიღა.

ბედისკვერმა უტაზა – ბედმა უღაღაღა, უმტყუნა.

ბედისწერამ აიტანა – თავის ღაღუპვას თავაღვე შეუწყობს ხელს, საბედისწერო ნაბიჯს ღგამს.

ბედისწერის ღავთარი – ბედის წიგნი. სადაც აღამიანთა ბედია ჩაწერილი.

ბედმა გაუღიმა – მოულოდნელად კარგი რამ მოუვიდა, კარგი რამ ხვდა წილად.

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული – გადატ. კარგი ბედის მქონე, იღბლიანი, ბედიანი, ქუდბედიანი, ყსმათიანი.

ბედნიერ ვარსკვლავზე (ღღეზე) დაბადებული – გადატ. ვისაც ცხოვრებაში ბედი აქვს, - ბედნიერი (აღამიანი).

ბედნიერ შიხზე ამდგარა – გადატ. იტყვიან ვინმეს შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც აღამიანს ყოველი საქმე კარგად მისდის, ყველგან გაუმარჯვდება.

ბედნიერ ხელზე – იტყვიან იმ ბედნიერ დასაწყისზე, რა დროიდანაც საქმე კარგად წავა. კარგ ხელზე.

ბედნიერების აღმური ასლის – გადატ. ბედნიერებით უბრწყინავს სახე.

ბედნიერი ღღე – კარგი, კეთილმოსაგონარი ღღე, სასიხარულო ღღე; გადატ. საუფლო ღღე, საეკლესიო ღღე, ღღესასწაული.

ბედნიერი შიხი – გადატ. მომტანი ბედნიერებისა, წარმატებისა, გამარჯვებისა.

ბედს არ (როდი) უტყდება – ბედს არ ეძორჩილება, არ ეჩაგვრინება, არ ეპუება.

ბედს დაკარბავს – 1. ბედნიერ შემთხვევას ხელიდან გაუშვებს. 2. თავის საბედოს, საცოლეს ვერ შეეყრება.

ბედს ემღურის – თავისი ბედის უკმაყოფილოა.

ბილს ეწევა – 1. საბელოს იპოვის, გაბედნიერდება. 2. სიკეთეს ეწევა.

დღე არ ბაანია და ღამე – გადატ. დღე და ღამე გასწორებული აქვს, ღამითაც ისე ირჯება, როგორც დღისით.

დღე და ღამე ბაიყრება – მწუხრისა და ალიონის დადგომა.

დღე და ღამე (დღედაღამ) მხიარულება

გამუდმებით, განუწყვეტლივ, სულ კარგ განწყობაზე ყოფნა.

დღე [და] ღამეს ბაასწორებს – თავაუღებლივ იმუშაკებს, იმოქმედებს; შეუსვენებლივ იშრომებს, თვალს არ მოხუჭავს.

დღე და ღამის გაერთიანება იგივეა, რაც დღე და ღამის გასწორება.

დღე და ღამის გასწორება – გადატ. შეუსვენებელი, გამუდმებული შრომა (დღეცა და ღამეც).

დღე და ღამის გაყრის დრო – 1. გათენების დრო, ალიონი, აისი, განთიადი; დილა, ცისკარი. 2. საღამო, ბინდბუნდი, მწუხრი.

დღე დააყენა (მას) – გადატ. ცუდი საქმე უყო, ცუდი საქმე დამართა, დააზარალა.

დღე დათვლილია – გადატ. დიდხანს ვერ იცოცხლებს, მალე მოკვდება, დიდი ხნის არსებობა არ უწერია.

დღე ელმვა – დღე უმოკლდება, სიკვდილი უახლოვდება.

დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი – გადატ. ხშირად, მრავალჯერ, მრავალგზის.

დღე ერთია და... – ერთ დღეში რამდენჯერმე, ყოველდღე, დღენიადაგ.

დღეეოკლედ ნაცხოვრები – ხანმოკლედ; გადატ. ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე არა ჰქონია, ახალგაზრდობაშივე გარდაცვლილი.

დღე სწორედაც არ გასთენებია – გადატ. არ დავაჟაკებულა, დიდი არ გამხდარა, ცოტა უცხოვრია, თითქმის არა უნახავს რა.

დღე ღამდებოდა და ღამე თენდებოდა
გადატ. დრო და ჟამი თავისი გზით მიდიოდა.

დღე ღამე იყო და ღამე დღე (იმისათვის)

გადატ. ერთნაირად საქმიანობდა, იღვწოდა როგორც დღე, ისე ღამე, მისთვის მოსვენება არ ყოფილა.

დღე ღამეს ეყრება - საღამო ღება, საღამოვდება, შწუხრდება.

დღებრკელი ხარ - შენი დღე გრძელი იყოს! გადატ. დიდხანს იცოცხლე.

დღებრკელობა! დღებრკელობა ჰქონდეს!

დიდი ხნის სიცოცხლე! ცხოვრება შენი დღეგრძელი იყოს! დიდხანს იცოცხლე!

დღეები დათვლილია - გადატ. აღსასრული მოახლოებულია, მალე მოკვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს (ვინმე).

დღეებს დააღვინებს - დღეებს დაასრულებინებს, გაატარებინებს.

დღეებს (დღეს) დაღვს - დღეებს (დღეს) დაასრულებს, გაატარებს.

დღეგანდელი დღე - გადატ. ის დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი მდგომარეობა.

დღეის იქით, დღეის აგას იქით - დღეის შემდეგ, ამ დღიდან მოყოლებული, - ამიერიდან, დღეიდან, ამ დროიდან.

დღენი დალია - გადატ. სიცოცხლე გაათავა, მოკვდა.

დღენი დალია ყმაწვილკაცობისა - ახალგაზრდობიდან ჭარმაგობაში გადავიდა, შუა ხანს მიაღწია.

დღეობის დაღვობა - გადატ. შექცევა. მხიარულება, დროსტარება, გახარება.

დღეს არა ხვალ... - გადატ. სულ მალე, მცირე დროში. დიდი ხანი არ გაივლის.

დღეს აქაა, ხვალ იქა - გადატ. 1. დაუდგრომელი, ერთ ადგილზე გაუჩერებელი. 2. მოხეტიალე, ოჯახისა და კერძის უქონელი.

დღეს თუ ხვალ – ძალიან მალე, სადაცაა.

დღეს მზის ბაიშაშებს – მოკვდება. გარდაიცვლება.

დღეს მოუსპობს – იგივეა, რაც სიკოცხლეს ძოუსპობს.

დღეს მოუსწრაფებს – სიკოცხლეს გამოასაღებს, მოკლავს.

დღეს რა მოაქვს, ღამეს რა (ვინ იცის) – გადატყველავს მოსალოდნელი ავიცა და კარგიც; არავინ იცის, რა მოხდება.

დღეს (სიკოცხლეს) უსწრაფებს სიკოცხლეს ნაადრევად უსპობს.

(დღეს) ჩემი დღე არაა – (დღეს) არ გამოძღის, ხელმოცარული ვარ.

დღესა და ღამეს ამრთიანებს – დღენიადაგ მუშაობს, შრომობს, იღწვის, მუდმივად ცლასა და საქმეშია.

დღეს სვალეობა – გადატყველავს, საქმის მუდმივად გადადება, თავისძვრენიანობა, დაპირება, პირობის აუსრულებლობა.

დღეს [სა] და ღამეს ასწორებს დღე და ღამე მუშაობს, ძალიან ბევრს მუშაობს.

დღით გაძღობა – გადატყველავს. დიდი ხნის სიკოცხლე, მრავალჯამიერობა.

დღითი დღე – გადატყველავს. განუწყვეტლივ, თანდათანობით, სულ უფრო მეტად, დღიდან დღემდე.

დღის გაბრძნობა – გადატყველავს. დიდხანს სიკოცხლე, მრავალჯამიერ არსებობა.

დღის გაქრობა – გადატყველავს. სიკვდილი, დღის დაბნელება, მზის გაქრობა.

დღის გაშავება იგივეა, რაც მზის გაშავება, გარდაცვალება.

დღის დაბნელება – გადატ. სიკვდილი, სიცოცხლის გამოსალმება; გამწარება.

დღის გაძრობა – გადატ. სიცოცხლის შეწყვეტა, სიკვდილი.

დღის დაღეპა – გადატ. სიკვდილი, გარდაცვალება.

დღის მოსწრაფება – გადატ. სიცოცხლის შემოკლება, სიკვდილის მოახლოება, სიცოცხლის გამოსალმება.

დღის კონა – გადატ. დროს შერჩევა; საქმის კარგად მოსაგვარებლად მარჯვე შემთხვევის ჩადება ხელში.

დღის სავალზე – მანძილი, რომლის გაელას კაცი ფეხით ერთ დღეს მოუნდება; გადატ. დიდ მანძილზე, შორს.

დღის სინათლეზე გამოტანა – გადატ. გამომჟღავნება, გამოაშკარავება, მხილება (რამე დაფარული ამბისა).

დღის სულით კეთება – სანამ დღე სულდგმულობს, არის; გადატ. სანამ ჯერ კიდევ დღეა, სანამ დაღამდებოდეს.

დღის კალი იყო – ჯერ ისევ დღეს ჰქონდა ძალა; გადატ. ჯერ ისევ დღე იყო, ღამე არ დამდგარიყო.

დღის წაღება – დღისა და ღამის (სიცოცხლის) გაჭირვებით გატანა; გადატ. გასაკეთებლის ჯეროვნად გაუკეთებლობა; შრომისა და გარჯისაგან თავის აცილება, მინიმუმით დაკმაყოფილება.

დღისა და ღამის გაყრა – 1. განთიადი, გათენება, გარიჟრაჟი; ალიონი. 2. საღამო, მწუხრი, ბინდ-ბუნდი, დაბინდების ჟამი.

დღისა და ღამის გასწორება – ღამის გატოვება დღესთან; გადატ. გამუდმებულად, განუწყვეტლივ მუშაობა, საქმიანობა, როგორც დღე, ისე ღამე.

დღისით-მზისით პარაკაშობს – გადატ. აშკარად, ღიად ყველას დასანახავად, ცხადად, გამოჩინებით, ადვილად, დაუბრკოლებლივ.

დღიურად გამოდის – დღიური შრომით აჩსებობს, თავს ირჩენს.

დღიურად და კაცის თავზე – რაც ძოუწევს ერთ დღეს და ერთ კაცს.

დღიურად მუშაობს (იმუშავებს) – დღიურ ქირაზეა.

დღიურად ცხოვრება – გადატ. არსებულთი კმაყოფილება, მომავლის უდარდელობა.

დღიური ღუკმა (საზრდო) – საზრდო, რომლის მოსაპოვებლადაც დღიურად შრომობდნენ; საერთოდ, დღის საზრდო.

დღიური მუშა (მოჯამაბირე) ვინც იძულებული იყო დღიურად მიქირავებოდა ვინმეს მუშად (მოჯამაგირედ...); ვინც დღიურად მუშაობს.

2

მზ არის და ბორის ციხე გადატ. მკვიდრად, ყოველმხრივ სრულად და მტკიცედ გაკეთებული, უნაკლოდ შესრულებული საქმე; სიმკვიდრის, სიმტკიცის, უძლეველობის, სიმაგრისა და სიძართვის სინონიმი.

მზ ერთი და სხვა ათასი! – მილოცვაა წარმატების შემთხვევაში (ან ირონიულად - მსუბუქი მარცხის დროს).

მზ ვინიცოგაზედ ჰკილია – მიზანდასახულობის ასრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ფლობს ინფორმაციას; გადატ. გამოსაცნობია (დასადგენია) რა შეიძლება იქნეს მომავალში, რა არის მასში საეჭვო.

მზ საკმეპი (ნაკმეაზი) ზოგი შენს ზიზილმესაც დაუყარე – გადატ. ვერ მომატყუებ შენი მოსატყუებელი არა ვარ, სხვა გააცურე.

მზლა მაკლია – გადატ. 1. ამის მეტი ყველაფერი მაქვს; რაც მაქვს, რაც გამამხდა, რაც მჭირს, სრულებით მეყოფა. 2. (ირონ.) მხოლოდ ეგლა აკლია ჩემს სრულყოფილ ბედნიერებას.

მლემის ზალკოტი – 1. იგივეა, რაც ეღემი. 2. (ირონ.) მხოლოდ ეგლა აკლია ჩემს სრულყოფილ ბედნიერებას.

მზოს ატალახ(იან)მზა იგივეა, რაც კარის ატალახ(იან)ება. მუდმივი, ხშირი, მომაბეზრებელი სტუმრია-ნობა.

მკალ-ბარდში ბახლართვა – გადატ. გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩაკარდნა, ბადეში გაბმა.

ეკალზე ვზივარ – გადატ. მეტად აღელვებული ვარ, ვწუხვარ უსიამოვნების მოლოდინში. წასვლა, ნახკა... მეჩქარება.

ეკლად დასმა გადატ. სიმწრის, ტკივილის განცდა, მწუხარება, დარდ-ნალველი, უზომო წყენა.

ეკლად (ეკალივით) ესობა (ხვდება, მიაჩნია და სხვ.) – გადატ. არ მოსწონს, ეჯავრება. კერ იტანს, სწყინს, გულს სტკენს.

ეკლუბზე ზის (იჯდა...) – გადატ. მოთმინებას კარგავს, მოუსვენრდაა.

ეკლიანი გზა – ეკლებით დაფარული გზა – სავალი; გადატ. გაჭირვებით, სიძნელით, დაბრკოლებებით აღსავსე გზა.

ეკლით მოჟენა – გადატ. დიდი გაჭირვება. დიდი დაბრკოლება, ხელის მოცარვა.

ეკლის გვირგვინი – გადატ. წამება, ტანჯვა, მწუხარება, უსაზღვრო დარდი. გაჭირვება.

ეკლის გვირგვინი დაადგმს – გადატ. დატანჯეს, აწამეს.

ეკლის (წამების) გვირგვინს დაიდგამს გადატ. დაიტანჯება, ეწამება.

ელეთიელეთის მოსვლა – გადატ. 1. შეშინება, თავზარის დაცემა. 2. ძალზე გახარება, სიხარულისაგან, სიამოვნებისაგან დაბნედა.

ელეთიელეთს კვპრის შიშსა კვპრის, შიშის ზარს სცემს.

ენა აღვილად იტყვის სათქმელად ძნელი სრულებით არ არის; ადვილია; გადატ. მეტად ძნელი გასაკეთებელია, გასაჭირია, სატანჯველია.

ენა ამეცრა – გადატ. დადუმების შემდეგ ბევრი ლაპარაკი დავიწყე.

ენა ამოედგმება – ლაპარაკს დაიწყებს, ამეტყველდება, აღაპარაკდება.

ენა არ ემორჩილება – რაღაცის თქმა უნდა და ვერ ახერხებს (შიშის, აღელვების, გარინდების და მისთ. გამო).

ენა არ მომიტრიალდება – ენა არ მომიბრუნდება ამის სათქმელად; გადატ. ტყუილს ვერ ვიტყვი, ცუდს კარგს ვერ დავუძახებ.

ენა აჰვს წაბღმებული – თავხედურად, ზედმეტს ლაპარაკობს, - ყბელობს, ქარიანი ენა აქვს.

ენა აღარ ერჩოდა – ენა არ ემორჩილებოდა, მუნჯდებოდა; გადატ. ლაპარაკი აღარ შეეძლო.

ენა გაუხმეს – გადატ. ლაპარაკის უნარი წაერთვას, მუნჯად დარჩეს, ლაპარაკი ვერ შეძლოს (ვინმეს) – წყველის ფორმულაა.

ენა და პირი ვერ მოსთვლის – არც ენასა და არც პირს არ შეუძლია აღნუსხოს ის (იგულისხმება უამრავი. უსივალავი რამ) რაოდენობა; გადატ. მეტად ბევრია, ხშირია, აურაცხელია.

ენა მბმება – შეფერხებით მეტყველებს, ბორძიკით ლაპარაკობს.

ენა მქაჰმება – გადატ. ბევრი ლაპარაკის, ქაქანის, ტარტარის გუნებაზეა.

ენა პრეპა – არეულად ლაპარაკობს, ერთის ნაცვლად მეორეს ამბობს.

ენა ვერ იტყვის (ენით ვერ იტყვის) – ენა ვერ გამოთქვამს, ვერ გადმოსცემს; ენით ვერ გადმოსცემა. ძალიან ძნელი სათქმელია.

ენა მუცელში ჩაშვარდა – ხმა ვეღარ ამოიღო, ლაპარაკი შეწყვიტა, ენა დაება (შიშისაგან, გაოცებისგან...).

ენა მხარზე აქვს გადაკიდებული – გადატ. ბევრი ლაპარაკი იცის, ლაქლაქაა, ენატარტარაა.

ენა პირში ჩაშვარდება – ხმას ვეღარ ამოიღებს, ვეღარაფერს იტყვის ალელეების, შიშის, სიხარულის... გამო.

ენა უბოროტიკდება – ენა ებმის, თავისუფლად ვერ ლაპარაკობს.

ენა შვარდება – ლაპარაკის უნარი ერთმევა. ლაპარაკს ვეღარ ახერხებს.

ენა უსწრებს – გადატ. ზედმეტს, უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს, ენა წინ უსწრებს.

ენა უყივლებს – თითქოს წინასწარმეტყველებს იმას, რაც შეიძლება მოხდეს.

ენა უჭრის – გადატ. კარგი მარილიანი ლაპარაკი იცის, ლაპარაკი ეხერხება, ეადვილება; ორატორობს, ოქროპირობს.

ენა ჩაშვარდება (მუცელში) – ხმას ვეღარ ამოიღებს, ლაპარაკის უნარი წაერთმევა, დადუმდება (შიშის, ალელეების... გამო).

ენა ძლივს მოიბრუნა – ძლივს დაილაპარაკა, ძლივს ამოიღო ხმა.

ენა წინ უსწრებს – გადატ. დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის.

ენა, ხმა... წაერთმევა – მეტყველების უნარი დაეკარგება.

ენაგადმოგდებული დარბის – გადატ. ძალიან უჭირს, ცუდ დღეშია, იტანჯება.

ენად გადაქცევა – გადატ. ბევრი, გაუთავებელი ლაპარაკის, ყბელობის დაწყება, უბელობა.

ენად გადაქცეული – ენად გაკრეფილი, ლაქლაქა.

ენად გაიპრიშება – ბევრს და მეტიჩრულად ილაპარაკებს.

ენად გაპრიშა – გადატ. ბევრი და მეტიჩრულად ლაპარაკი, ლაქლაქი.

ენად გაპრიშილი ვინც ბევრი ლაპარაკი იცის, გაუთავებლად მოლაპარაკე.

ენად ქცევა – გადატ. იტყვიან, როცა ვინმე გაუთავებელ ლაპარაკს მოჰყვება.

ენაზე აღბას გადატ. ძალიან კარგად იცის და ვერ მოუგონებია (სიტყვა, სახელი), საცაა გაახსენდება.

ენაზე აკერია (ვინმე, რამე) – გადატ. წარამარა ახსენებს (ვინმეს, რამეს), მუდმივად ლაპარაკობს (ვინმეზე, რამეზე), პირზე აკერია (ვინმე, რამე), სულ ერთსა და იქასვე ლაპარაკობს, გაიძახის; იცის.

ენაზე არ დაადგება (რამე) – გადატ. უთქმელად არ დატოვებს (რამეს), წამოსცდება (რამე).

ენაზე არაფერი დაამაბრდება, ენაზე რა დაამაბრდება – გადატ. ვერაფერს დამალავს, ყველაფერს იტყვის.

- ენაზე არაფერი დაამაზრდება** უოქქელად არაფერს დატოვებს, ყველაფერს იტყვის.
- ენაზე ღარჩება (სიტყვა..)** – თქმას ვერ მოასწრებს (სიტყვისას), ლაპარაკს ვერ დაამთავრებს, სიტყვას შეაწყვეტინებენ.
- ენაზე დახვევა (რამესი)** – გადატ. მუდმივ სალაპარაკო საგნად გახდომა.
- ენაზე ღბომა** – გადატ. სულ ერთსა და იმავეზე ლაპარაკი.
- ენაზე (ენას) კლიტის დაადებს** ხმის ამოდების საშუალებას არ მისცემს, არ ალაპარაკებს, გააჩუმებს.
- ენაზე იკბინა** – გადატ. ენა მოიკვნითა, უცბად გაჩუმდა და ინანა, რომ წამოსცდა.
- ენაზე კბენა** – გადატ. წამოცდენილი ნათქვამის მონანიება და უცებ გაჩუმება, თითზე კბენა, ენის მოკვნეცა.
- ენაზე კბილის დადგმა** – გადატ. გაჩუმება, ხმის გაკბენდა, სინანული რაღაცის (არასათქმელის) თქმისათვის.
- ენაზე კბილის დაჭერა** – იგივეა, რაც ენაზე კბილის დადგმა, გაჩუმება.
- ენაზე კბილს დაიდგამს** – კრინტს არ დაძრავს, გაჩუმდება, არაფერს იტყვის.
- ენაზე კლიტის დადება** – გადატ. დადუმება, გაჩუმება, მორიდება ზედმეტი ლაპარაკისა, საიდუმლოს შენახვა.
- ენაზე მოადგმება** – სათქმელად მოუვა.
- ენაზე (პირზე) აკმრია (ეკმრა)** წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს ერთსა და იმასვეს გაიძახის.

ენაზე (პირზე) დანიკერებს – გადატ. ხშირად გაიმეორებს, წარამარა ახსენებს, მუდამ ერთსა და იმავეს იტყვის, აიჩქმებს.

ენაზე რა დაამაბრებს – ყველაფერს იტყვის, რა გააჩუმებს.

ენაზე უტრიალებს (ვინმე, რამე) – გადატ. ხშირად ახსენებს, მუდამ ახსოვს, ენაზე აკერია (ვინმე, რამე).

ენაზე შემურობა სათქმელისა – მღელვარებისაგან, ძლიერი ემოციისაგან ვერაფრის თქმა.

ენაზე წისქვილის ქვის დაკიდება – გადატ. დაძძიძება, გაჩუმება, დაბრკოლება, ხელის შეშლა.

ენაზე ჭალი მომდება – გადატ. კარგი მოლაპარაკება, რაც უნდა ჰკითხო, ყველაფერზე მოგიგებს, ლაპარაკში არაფერი აბრკოლებს, რიტორია, მჭევრმეტყველია.

ენამ მიყივლა – გადატ. შემატყობინა მომავალი, წინასწარ მაგრძნობინა, ჩემდა უნებურად მაცნობა.

ენამ უყივლა – გადატ. წინასწარ, უნებურად თქვა ის, რაც შემდეგ შესაძლოა ახდეს.

ენას აბრტყელებს – ზომა არ იცის, ზედმეტს ლაპარაკობს.

ენას აიდგამს – იგივეა, რაც ენას ამოიდგამს, ლაპარაკს დაიწყებს.

ენას აიხსნის – გადატ. ალაპარაკდება.

ენას აკვმებს – მახვილ, მოსწრებულ სიტყვებს ისვრის, მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს, რიტორობს.

ენას, ამბავს უზიდავს – ამბავი მიაქვს ვინმესთან (ხშირად) ასმენს.

ენას არ (ალარ) დააყენებს – ენას არ გააჩერებს, არ მოასვენებს, - სულ ილაპარაკებს, იყბედებს.

ენას არ აჩმრებს განუწყვეტლივ ლაპარაკობს.

ენას ასარსალმებს – ენას ატარტარებს. ოსტატურად, მოქნილად ყბედობს.

ენას ასინინებს – ბოროტ ხმებს ავრცელებს, ბოროტად ჭორიკანობს.

ენას ატმინებს – ლაპარაკს, მეტყველებას ასწავლის.

ენას აჭარტალმებს – გაუთავებლად ლაპარაკობს; ზედმეტს და უადგილოდ საუბრობს. ყველასთან ლაპარაკობს იმას, რისი თქმაც არ შეიძლება, რაც საიდუმლოა.

ენას ბააბრტყმლმებს – ზედმეტს, ძალიან ბევრს ილაპარაკებს.

ენას ბააბრკმლმებს – ბევრს, ზედმეტს ილაპარაკებს, ყბედობას მოჰყვება.

ენას ბაიბრილმებს – ბევრს, ზედმეტს ილაპარაკებს, - იყბედებს.

ენას გამოუყოფს -- გამოაჯავრებს.

ენას დაამოკლებინებს – გადატ. აიძულებს ენა დაიმოკლოს; ჩააჩუმებს.

ენას დაატრიალმებს – გადატ. მოქარგულ ენას ააძოქმედებს, ენას აამუშავებს.

ენას დაიტკბობს – ტკბილად დაიწყებს ლაპარაკს.

ენას (ენაზე) კბილს დაადბამს – გაჩუქდება, არაფერს იტყვის.

ენას (ენაზე) კბილს დააჭმრს – ივივია, რაც ენას კბილს დაადგამს, კრინტს არ დაძრავს.

ენას ვერ აკვრევიანებს - ვერ ალაპარაკებს, ხმას ვერ ამოაღებინებს.

ენას ვერ დაძრავს ხმას ვერ ამოიღებს, კრინტს ვერ დაძრავს.

ენას ვერ იბრუნებს - ხმას ვერ იღებს, ლაპარაკს ვერ ახერხებს.

ენას იღვამს -- გადატ. ლაპარაკს იწყებს, ხმას იღებს, ენას ძრავს.

ენას იღმსავს - გადატ. ბევრი ლაპარაკისთვის, ყბედობისთვის ემზადება.

ენას იფხანს - ტყუილუბრალოდ, უსაგნოდ ლაპარაკობს.

ენას იფჰავს - გადატ. ცხარობს, ჯავრობს, გაცხარებით ლაპარაკობს, პირს იწყავს.

ენას კბილებს დააჭმრს ([მო]უჭმრს) -- ფრთხილად ილაპარაკებს, მხოლოდ იმას იტყვის, რაც საჭიროა; გაჩუმდება.

ენას მიიტანს - სხვის ნათქვამს გაამჟღავნებს, - ენატანიობას გასწევს, დაასმენს.

ენას მოაკვნიანებს ჩააჩუმებს, ხმას გააკმენდინებს.

ენას მოუკიდებს - ენის ბორძიკით ილაპარაკებს.

ენას მოიკვნიტს - ლაპარაკს უცებ შეწყვეტს, უცბად გაჩუმდება, თავს შეიკავებს აზრის გამოთქმისაგან.

ენას მუცელში იმაღავს - გადატ. არაფერს ამბობს, სათქმელს არ ამჟღავნებს.

ენას მუცელში ჩაიბღმებს - კრინტს ვერ დაძრავს, დაღუძდება, გაჩუმდება.

**ენას (პირს, კრინტს, სიტყვას..) ვერ დააკრძა-
ვინმეს** ვერ ალაპარაკებს, ხმას ვერ ამოაღებინებს,
ვერ ათქმევინებს.

ენას (პირს) დაიშაქრავს – გადატ. ტკბილად დაი-
წყებს ლაპარაკს, ვინმეს საამებლად, გულის მოსაგებად
ისაუბრებს.

ენას (პირს, ხმას) იშაქრავს ტკბილად მუსაი-
ფობს.

ენას პირში ველარ დააკავებს – ენას ველარ
გააჩერებს, იტყვის იმასაც რაც საჭირო არაა.

ენას (სიტყვას) პირში [და]იჭერს (დააკავებს)
– მოზომვით ილაპარაკებს, ზედმეტს არ იტყვის.

ენას უზიდავს – იგივეა, რაც ენა მიაქვს (ვინმესთან)
ჭორიკანობს.

ენას უკიდებს – გადატ. შეფერხებით ლაპარაკობს,
ენამოკიდებით, ბორძიკით ლაპარაკობს.

ენას შიშიშოკლებს – იგივეა, რაც ენას დაიშოკლებს.

ენას შეუპრავს – ლაპარაკს არ დააცლის. თქმის სა-
შუალებას არ მისცემს, ძალით გააჩუმებს.

ენას ჩააბღებინებს (მუცელში) – ხმის ამოღების
საშუალებას არ მისცემს, კრინტს არ დააძვრევინებს, ხმას
გააკმენდინებს.

ენას ჩაიკვნებთს – ენას უნებლიეთ მოიკვნეტს; მოი-
წყეწკავს.

ენას ჩაუბღებს (მუცელში) – ლაპარაკის უნარს
წაართმევს, - გააჩუმებს, დაადუმებს.

ენას ძლივს-ღა იბნებს გადატ. გარკვეულად. გასაგე-
ბად ველარ ლაპარაკობს, ენას ძლივს აგნებს.

ენას წააგდებინებს - სირბილით (ან მუშაობით) დაქანცავს.

ენას წაიგდებს - თავხედურად ზედმეტ ლაპარაკს მოჰყვება.

ენას წაიბრკმლებს ზედმეტს ილაპარაკებს, - ენას წაიგდებს.

ენას წაიკვნეხს - იგივეა, რაც ენაზე იკბენს.

ენით ამპარტავანი - ტრაბახა, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მოლაპარაკე; ბევრის მოლაპარაკე და არაფრის გამკეთებელი.

ენით არ ითქმის - ენას არ შეუძლია გამოთქვას (სათქმელი); გადატ. მეტად მძიმე რამ დანაშაულია, დიდი ბოროტებაა ვინმეს მიერ ჩადენილი; ადამიანის ენა უძლურია მისი შინაარსის გადმოსაცემად.

✓ *ზოგჯერ ენითაც ვერ გამოიხატება ადამიანისა თუ საგნის უსაზღვრო სიმშვენიერე ან რამე შემადრწუნებელი ამბავი. ამ დროს ენა ადამიანისა სრულიად უძლურია.*

ენით ბალოკვა - გადატ. მოაღერსება, მოფერება, მეტწილად არაგულწრფელად.

ენით გამოუთქმელი - რასაც ენა ვერ გამოთქვამს, სიტყვით ძნელად გადმოსაცემი, აუწერელი, უსაზღვრო.

ენით ნაკვირცხალს (ნაკვირჩხალს) იღებს

გადატ. ავია, კაპასია, ნერვიულია.

ენით ჯარას დატრიალება - გადატ. ბევრი ტყუილის თქმა, ლაქლაქი, ყბედობა.

ენის აღბმა იგივეა, რაც ენის ამოდგმა, ლაპარაკის დაწყება.

ენის ამოგნება – გადატ. ალაპარაკება, ენის ამოღება. ხმის ამოღება.

ენის ამოღება – გადატ. ლაპარაკის დაწყება, ამეტყველება; ხმის ამოღება, ენის დაძვრა.

ენის ამოღება -- გადატ. ხმის ამოღება, კრინტის დაძვრა.

ენის აყოლა – გადატ. ვინმეს ნათქვამის, ჭორის დაჯერება.

ენის ახსნა – გადატ. ლაპარაკის დაწყება, ალაპარაკება.

ენის გაბრტყელება – გადატ. ზედმეტი, გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი.

ენის გაბრძელება – გადატ. ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი, ყბელობა, ენის გაბრტყელება.

ენის გაღმსვა – ენის განმახვა, გაფხიანება; გადატ. მომზადება უფრო მეტი ლაპარაკისათვის.

ენის განძრევა – გადატ. ლაპარაკი, თქმა.

ენის გასატყვანად – გამოთქმის, წარმოთქმის გასაუმჯობესებლად.

ენის გასატყვანი – ენის სავარჯიშო, ძნელად გამოსათქმელი სიტყვების შეწყობა - სწრაფად წარმოთქმისათვის.

ენის გატყვანა – გადატ. ლაპარაკში გაწაფვა, ლაპარაკის თავისუფლად დაწყება; პირველად ამეტყველება.

ენის გაშანშალება – 1. ლაპარაკად გადაქცევა. 2. შეტყველების დახვეწა.

ენის დაბმა – გადატ. გაჩუმება, დამუნჯება. ხმის ვერ ამოღება, ენის ჩავარდნა; ენის აბორძიკება.

ენის დამოკლება – გადატ. ლაპარაკის შეზღუდვა, შედარებით ნაკლები ლაპარაკი; გაჩუმება.

ენის დატკბობა გადატ. ტკბილად ლაპარაკის დაწყება, დაშაქრული ენით მეტყველება.

ენის დაშაქვრა -- გადატ. ტკბილად, ვინმეს საამებლად საუბრის დაწყება, ენის დატკბობა, პირის დაშაქვრა.

ენის დაძვრა -- გადატ. ხმის ამოღება, კრინტიის დაძვრა, რამის თქმა.

ენის ზიდვა -- გადატ. ენის მიტანა, დასმენა.

ენის კიდება გადატ. ბორძიკით, გაუგებრად ლაპარაკი.

ენის მიმტანი -- გადატ. ენატანია, მახეზლარი, დამსმენი, ჭორიკანა.

ენის მიტანა -- გადატ. დასმენა, დაბეზლება, ენის ზიდვა.

ენის მიტან-მოტანა -- გადატ. ენატანიობა, დაბეზლება, ჭორაობა.

ენის მობრუნება -- გადატ. რამის თქმა, ხმის ამოღება, კრინტიის დაძვრა.

ენის მოთაფვლა -- გადატ. ტკბილად დაწყება ლაპარაკისა, ენის დაშაქვრა.

ენის მოკვნეცა -- გადატ. გაჩუმება, საუბრის უცებ შეწყვეტა, ხმის ჩაწყვეტა.

ენის მოსაფხანად -- საჭორაოდ, სალაყბოდ.

ენის მოფხანა -- გადატ. ლაპარაკით გულის მოჯერება.

ენის მოჭრა გადატ. ვინმეს იძულებით დადუმება.

ენის მუცელში ჩაპარღნა -- გადატ. გაჩუმება, დადუმება, ენის დაბმა, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების... გამო), ენის ჩაგარღნა.

ენის პირში ჩავარდნა – გადატ. გაჩუქება, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების... გამო), ენის მუცკელში ჩავარდნა.

ენის ტარება – ამბის მიტან-მოტანა, დაბეზლება, ენატანიობა.

ენის ტრიალი – ჭორაობა, ენატანიობა.

ენის ქავილი – გადატ. ლაყობის ხასიათზე მოსვლა, ლაპარაკის გუნებაზე დადგომა.

ენის ქავილი აუტყდება -- ყბედობის, ღლაყობის გუნებაზე, ხასიათზე დადგება.

ენის ქავილი სჭირს (აწუსებს, არ ასვენებს..)
– იგივეა, რაც ენა ექალება.

ენის შებრუნება – გადატ. პასუხის, სიტყვის უკუხად გაცემა.

ენის შენახვა – გადატ. უთქმელობა საიდუმლოებისა, გაუმჟღავნებლობა დასამალისა, დუმილი.

ენის ჩაბღება – იგივეა, რაც ენის ჩაკარდნა.

ენის ჩავარდნა – გადატ. გაჩუქება, ენის დაბმა, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების, სიხარულის... გამო). ენის მუცელში ჩავარდნა, მეტყველების უნარის დაკარგვა.

ენის ჩავარდნა მუცელში – გადატ. დაღუძება, უცბად ლაპარაკის უნარის წართმევა, ხმის ჩაწყვეტა, გაჩუქება.

ენის ჩაწყვეტა – გადატ. გაჩუქება, დაღუძება, ხმის გაკმენდა.

ენის წაბღება – გადატ. თავზედურად, ზედმეტის ლაპარაკი, - ყბედობა.

ენის წაბრძმება – იგივეა, რაც ენის გაგრძელება.

ენის წაღება – შეუფერებელი, წრეგადასული საუბარი.

ენის ფვერზე აღბას (რამე) – გადატ. იცის, სადა-
ცაა მოაგონდება... ენაზე აღბას (რამე); თქმის სურვილი
აქვს, თქმას აპირებს, სათქმელად მზად აქვს.

ენისა და პირის დაშაქვრა – გადატ. ტკბილად,
თვალთმაქცურად ლაპარაკი.

ენუქას ანღერძი – გადატ. ცრუ დაპირება.

ერდოში ბოლის შეფყვითა – გადატ. ცეცხლის
გაქრობა, ანუ ოჯახის, კერის მოშლა.

ერთ აღბილს ტქანის ერთსა და იმავეს იმეო-
რებს, ერთ დონეზეა.

ერთ ამბავს (ამბებს) დაატრიალებს – ერთ
ამბავს, ალიაქოთს, აურზაურს ატეხს.

ერთ ამბავს ათმვს – აურზაურს, აყალმაყალს ატეხს
(უტეხს); ტუქსავს, უჯავრდება.

ერთ ამბავს დაათმვს – ერთ ამბავს დააწვეს, ალია-
ქოთს. აყალმაყალს ატეხს (აუტეხს); დატუქსავს, გაუჯავრ-
დება.

ერთ ამბავშია, ერთ ყოფაშია – გადატ. ცელქობს,
ძალიან ხმაურობს, რას არ აკეთებს.

ერთ ამბავშია, ერთი ამბავი გააქვს (აქვს)
– ერთ ყოფაშია; ძალზე ხმაურობს.

ერთ ბერაში გამოყვანა, გავლა – ერთ ჩიხში
მოძწყვდება; გადატ. თავის დაუღწევლობა; გათანას-
წორება.

*✓ ბერა ჩიხია, მწყემსების მიერ ხელოვნურად გაკეთებული,
რომელშიც ძალაუნებურად უნდა გაიარონ მოსაწველმა
ცხვრებმა, ამ დროს ადვილია მათი დაჭერა, დათვლა, აცრა
და სხვ.*

ერთ ღარიჯაბში გატარება - ერთ ყალიბში ჩამოსხმა; გადატ. ყველას ერთნაირად მიჩნევა, ყველასათვის ერთნაირი ღირსება-ნაკლოვანების მიკუთვნება.

ერთ ღროს - წინათ, ოდესღაც.

ერთ ღღეს - გადატ. ერთხელ, განსაზღვრულ დროს, როდესმე, ოდესღაც.

ერთ ვაი-ვაგლასს დააწმის - დატუქსავს, გაუვკარდება, ერთ ამბავს დააწევს.

ერთ მაშრაშაში მოქცევა - გადატ. ყველას ერთი საწყაულით გაზომვა, კარგისა და ავის ერთნაირად მიივლა, ერთნაირად ჩაგდება.

ერთ მუხლზე, ერთ მუხლად - ერთ შეტევასზე, შეუსვენებლივ.

ერთ მშვენიერ ღღეს - გადატ. ერთხელ, მოულოდნელად, უეცრად, ერთბაშად, ერთ ღღეს, გაუთვალისწინებლად.

ერთ პირზე დადგებიან, იქნებიან ერთსულოვნება ექნებათ, შეთანხმებულად იმოქმედებენ.

ერთ პირზე დამდგარი - ერთიანი გადაწყვეტილების მომხრე, შეთანხმებულად, ერთსულოვნად მოქმედი.

ერთ პირზე დგანან - გადატ. ერთი აზრისანი არიან, შეთანხმებული არიან.

ერთ პირზე იღბნენ - ერთი აზრი ჰქონდათ, შეთანხმებულნი იყვნენ.

ერთ რამედ (ქალად, კაცად...) ღირს ძალიან კარგია, ძვირფასია.

ერთ სულ და ერთ ხორც - მთლიანი, ერთიანი, განუყოფელი (ითქმის ადამიანზე).

ერთ ტავაში იწვიან – გადატ. ერთნაირ გასაჭირ-ში არიან, ერთნაირად გაჭირვებული არიან.

ერთ ტავაში მოქცევა – გადატ. ერთნაირად, ერთი საზომით მიდგომა ყველასადმი.

ერთ უღელში შებმა – გადატ. შეუღლება.

ერთ ფარდში მოაქცევს – ერთმანეთის ტოლად მიიჩნევს, ერთმანეთის მსგავსად ჩათვლის.

ერთ ქვაბში ვინარაშებით – გადატ. საერთო უბედურება გკადგას ყველას.

ერთ ყლაპად არ მიყრფა – გადატ. ცოტაა, მეტად უმნიშვნელოა, ერთი ბეწოა, ჩაყლაპად არ ღირს.

ერთ ყოფას დაუწევს – შავ ღღეს დააყენებს, ძალიან გაუჯავრდება.

ერთ ყურში შეუშვებს და მორიდან ბაუშ-ვებს – გადატ. ნათქვამს, გაგონილს ყურადღებას არ მი-აქცევს, მნიშვნელობას არ მისცემს, ანგარიშს არ გაუწევს.

ერთ წერტილზე ბაიყინება – გადატ. განვითარე-ბა, მოძრაობა, წინსვლა შეწყდება.

ერთ წერტილზე გაჩერდება – განვითარებას, წინსვლას შეწყვეტს, წინ აღარ წავა.

ერთ წერტილზე იყინება – ვინმეს ან რამის გან-ვითარება, მოძრაობა, წინსვლა წყდება, ერთ წერტილზე ჩერდება.

ერთ ჭერქვეშ დაბვისველებია – ერთი ოჯახის შვილები ვართ; გადატ. ერთად გვიცხოვრია, შეგობრები ვართ.

ერთ ჭდეზე დბას – ერთი ღონეზეა, უცვლელადაა.

მართ ხანად, მართ ხ[ა]ნობას - იგივეა. რაც ერთ დროს, ერთ ჟამს.

მართ ხანს - ერთ დროს; რამდენიმე ხანს, გარკვეულ დროს, ჯერ, პირველად.

მართ ჯამში ვჭამთ გადატ. მეგობრები ვართ, თანშეზრდილები.

(მართ) ჯერზე ერთგზის, ერთ გაკეთებაზე.

მართი აღბილის ტკიპანა - გადატ. ერთისა და იმავეს გამეორება, ერთსა და იმავე დონეზე ყოფნა. წინსვლა-განვითარების შეწყვეტა.

მართი - ალთას, მეორე - ბალთას - გადატ. არეგ-დარეულობა, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, შეუთანხმებლად მოქმედებენ.

მართი ალილო მღვდელსაც შესცდებავო

შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს.

მართი ამას დახე (დამიხედე) - ეროი ამას (მავანს) შეხედე! გადატ. საკვირველია, არა რცხვენია. ტყუის.

მართი (ამას...) შეხედე, შეხე! - იტყვიან, როდესაც რამე საინტერესოს, უჩვეულოს, მოულოდნელს დაინახავენ, გაიგონებენ.

მართი ამბავი ატეხა (შექნა) აღიაქოთი, აყალ-მაყალი ატეხა.

მართი ამბავი აქვს - იგივეა, რაც ერთ ამბავშია.

მართი ამბავი დააწია (პინმეს) - დატუქსა. გაუჯავრდა. აიკლო.

მართი ბაჭინება - დრო ან მანძილი, რასაც ცხენი ჭენებისას დაღლაძდე მონადომებს; გადატ. კიდევ ერთხელ შეძლო (რადაც).

ერთი გზობა (ერთ გზობაზე), ერთ ჯერობაზე - ერთხელ, ერთგზის, ერთხელ შეტევით.

(ერთი) გუთნის გაშლა - ადგილი, სადაც გუთნის (გუთნეულის) გამლა შეიძლება, - ფართო, ვრცელი ადგილი.

ერთი და ორი კი არა, უამრავი... - გადატ. ზღვა ხალხი, ზღვა (სამეცნიერო) მასალა.

ერთი დრო იყო - იგივეა, რაც ერთ დროს.

ერთი დღეც იქნება - შესაფერი დრო, ყაძი დადგება.

ერთი ზურგი (თივა, შიშა და სხვ.) - რაც ერთი ზურგით წაიღება; გადატ. ტვირთი, რასაც ადამიანი თავის ტანით გაიტანს ერთი ადგილიდან მეორეზე.

ერთი თვალის გადავლევით - უცბად, ზერელედ, ერთი გადახედვით.

ერთი თვალის დაკვრით - ერთი თვალის მოვლევით, თვალის მოკვრით, ერთი შეხედვით, შეხედვისთანავე.

ერთი თუ ორი დღის სამყოფი - გადატ. ცოტა, ძალიან მცირე.

ერთი კალმის მოხმით - გადატ. მოკლედ და სხარტად, ცხოვლად და მკაფიოდ გამოთქმული დიდი აზრი, დიდი სათქმელი; ერთბაშად, უყოყმანოდ, ბევრი ფიქრის გარეშე.

ერთი კვირი არ მოტრიალვულა ჩემს თავზე - პურის სალეწი კევრილა არ მოუტრიალებიათ ჩემს თავზე; გადატ. მრავალგვარი უბედურება გადამხდენია თავზე, ბევრი ავი და კარგი გამოძიცლია.

ერთი კვნიტი - ერთი ბეწვა.

ერთი ლუკმა – ძალიან სატარა, ერთი ბეწვა, ერთი ციციქნა.

ერთი ლუკმის შეჭმა – გადატ. მცირე რაიმე საჭმლის მიღება.

ერთი მე ვარ ახალგაზრდა და მეორე შენი! – გადატ. როგორც მე არა ვარ ახალგაზრდა, ისე შენი (ირონი).

ერთი მუჭა – გადატ. ძლიერ ცოტა, პატარა.

ერთი ნიკი პაჭვი მმართვეს – გადატ. სულ ცოტა მმართვეს.

ერთიორად ერთითად აქცევს – ერთიორად ერთითად გაზრდის (რამეს), გაამრავლებს.

(ერთი, ორი...) ნაბლის, ფარდაბის გაშლა (აღბილი...) – ძალიან მცირე (ადგილი, მიწა).

(ერთი, ორი) სიტყვის თქმა – რამის თქმა. ცოტას თქმა.

ერთი, პირველი შესვლით – პირველი შთაბეჭდილებით, ერთი თვალის გადავლებით.

ერთი პირი – ერთსულოვნება, ურთიერთგამტანობა, თანხმობა; ერთი ნაწილი, ერთი ჯერობა.

ერთი სიტყვაც არ ჩავარდება გადატ. ყველაფერი (ნათქვამი) მართალი, სწორი გამოდგება; ახდება, შესრულდება.

ერთი სიტყვით – გადატ. იხმარება თქმულის შეჯამებისას, დასკვნის გასაკეთებლად, - მოკლედ.

ერთი სიცოცხლის ბათავება – გადატ. შეშინება, შეძრწუნება, მწარედ განცდა, შერცხვენა ვინმეს წინაშე.

ერთი სული აქვს გადატ. სული მიუდის, ძალიან ეჩქარება (ნახვა, გაკეთება...).

მართი შმხი სამარეში უღგას - იგივეა, რაც ცალი ფეხი სამარეში უღგას.

მართი შმხით - ერთი ნაბიჯით, სულ ცოტა ხნით ადრე.

მართი შმხით ბაასწრო - ეს-ეს არის წავიდა, ცოტა ხნით ადრე წავიდა.

მართი შმხით მოასწრებს (მოუსწრებს, მიასწრებს, მიუსწრებს) - სულ ცოტათი მოასწრებს (მიასწრებს...).

მართი შმხით მოვუსწარი - ერთი ნაბიჯით მოვუსწარი; გადატ. სულ ცოტათი, ოდნავ, ძლივს მოვუსწარი.

მართი შმხით წინ - ერთი ნაბიჯით გასწრება ვინმეს წინ; გადატ. სულ ცოტათი ადრე.

მართი შმხის გადაღმა - იქვე, გვერდზე; გადატ. მეტად ახლო, მცირე მანძილი.

მართი ძორწილის ხალხი - გადატ. დიდძალი ხალხი, ბევრი, უთვალავი.

მართი ღერი ბიჭი ვარ - ერთილა ვარ; გადატ. ცარიელ-ჭარიელი, უნათესავო, უმახლობლო.

მართი ყოფა ღააწია - გადატ. ყვირილი ატეხა, გაჯავრდა, ახმაურდა, აიგდო იქაურობა, იღრიალა.

მართი შემოვლალა არის - გადატ. 1. სულ მცირე მიწის ფართობი. 2. სუსტი, ძალზე გამხდარი, ღონეგამოცლილი ადამიანი.

მართი შნც, შნც[ც] მართი - გამოხატავს საყვედურს, ჭკუის დარიგებას (იმისას, ვინც რამეს აიტეხს, დაიჟინებს).

მართი ჩადგმა (ლობიო...) - ერთ ჯერზე სამყოფი, ერთი მოხარშვა (ლობიო...).

ერთი ცილა – გადატ. ძალზე მცირე, ძეგლად პაჭარა, ერთი ბეწვა.

ერთი ცხვირი – ერთი დაცემინება; გადატ. უბედურების ნიშანი.

ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე – გადატ. გაჭირვება არ დარჩენილა რომ მე არ გამოძევლო, ყოველგვარი უბედურება გადაძვინდა.

ერთი წუთი სიცოცხლე დარჩენია გადატ. დიდი დრო არ დარჩენია, საწუთროს მალე დატოვებს

ერთი ხანია – კარგა ხანია, რამდენიმე ხანია.

ერთის კმარისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი – საერთო კერა და ცეცხლი გვაქვს; გადატ. მახლობელნი ვართ, ნათესავეები, წევრები ერთი ოჯახისა.

ერთიც ვნახოთ – გადატ. ვინ იცის, იქნებ; უცბად, მოულოდნელად.

ერთმანეთს თხა და მგელივით უცქერიან
ერთმანეთს მტრულად უყურებენ.

ერთსა და იმავე ღარზე დგანან ერთნაირ მდგომარეობაში არიან.

ერთხელ და ერთხელ დამთავრდეს იგივეა, რაც ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს.

ერთხელ და სამუდამოდ – საბოლოოდ, გადაჭრით, უკანასკნელად.

ერთხელ ჩვენკენაც მოვა წვიმა – გადატ. ერთხელ ჩვენც გაგვიღიმებს ბედი, ჩვენც კარგი დღე დაგვიდგება.

მართხელ[აც] (მართ[იც]) იქნება [და]... – მოვა, დადგება დრო, ჟამი (და...), ბოლოს და ბოლოს მოხდება, - ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება არ მოხდეს (რომ)...

მრი და ბერი შეიკრიბა -- ერთობლივ ყველამ მოიყრა თაჯი.

მს არის, რაც არის – გადატ. ეს არის ყველაფერი. და(კინცი): ცუდია, საზიზღარია.

მს ბურთი და მს მოედანი – ჰა ბურთი და ჰა მოედანი - თუ შეგიძლია, გაიტანე ლელო; გადატ. ვნახოთ, რასაც იზამ, რასაც გახდები; ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

მს დღე ნიშანი (იყოს) – გადატ. მოსაგონებლად, ეს დღე გვქონდეს, დავიხსოვოთ.

მს (მბ) ოსერ-ტიალი – სიტყვის მასალა; გამოხატავს უკმაყოფილებას.

მს საკმეპი (ნაკმაზი) შენს წიწილებს დაუყარე იტყვიან, როცა ვინმეს ნათქვამს არ უჯერებენ; ვერ მომატყუებ.

მს-ისაო, მს-მსაო – გადატ. ბევრი რამ გასაკეთებელია, ან მოსაპოვებელი; აღნიშნავს: მოუცლელობას, დროის უქონლობას.

მს რა ცოდვა მემკითხა – ეს რა ცოდვა დამბრალდა, ეს რა დანაშაულისათვის მომეთხოვა პასუხი! გადატ. რა უბედურება დამატყდა თავს, როგორ დავიღუპე!

მს უღვაში არა მსხმია, მს უღვაში არა მქონდეს გადატ. ფიცი: შერცხვენილი ვიყო, სულ უკანასკნელი ვიყო, კაცი არ ვიყო...

მს უღვაში მოგაარსეთ, თუ... (ჩემი ნათქვამი მართალი არ გამოდგეს) – გადატ. შერცხვენი-

ლი ვიყო, ვაუჟაცი ნულარ ვიქნები, უკანასკნელ ადამიასად ჩამთვალეთ.

მს ულვაში კაღლისა იყოს, თუ... — გადატ. კაცი არა ვყოფილვარ, სულ უკანასკნელი ადამიანი ანუ ძაღლი ვიყო, თუ...

მს კველი და სხვა ახალი გადატ. ღმერთმა ბევრი ტანისამოსი გაცვეთინოს, დიდხანს გაცოცხლოს

მსეც ერთი თანხაა — გადატ. წყალობაა, ჯათმობაა, სამსახურია, გამარჯვებაა.

მსეც შენი (თქვენი...) — იხმარება ნიშნის მოკებისას (როდესაც რამე ჩაიშლება ან არ გამოვა).

მშაპების ხელმწიფე — გადატ. დიდად ბოროტი, საშინელი მაცდური.

მშაპი ღაპაბათ — გადატ. სიავეს, ზარალს, დასაკარგს თავი დავაღწიოთ.

მშაპი მჯღარა (რამეზე) — გადატ. ის რაც ყველას დაკარგული გვეგონა, ვიპოვეთ.

მშაპი შეუჯდება არასასურველი რამ აეკეთება, შეუჩნდება; შეაცდენს.

მშაპის აყოლა — ეშმაკის გზით გავლა, მისი აღევსება; გადატ. ეშმაკის მიბაძვა, ეშმაკურად მოქცევა.

მშაპის გზა — გზა, რომლითაც ეშმაკი დადის, გადატ. უკუღმართობა, ავკაცობა, ბოროტება, ბიწიერება.

მშაპის გზაზე შეღბომა იგივეა, რაც ეშმაკის გზას გამოკიდება.

მშაპის გზას გამოკიდება — გადატ. სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნა; ბოროტების, ავკაცობის ჩაღენა.

ეშმაკის ვირზე შესმა – გადატ. სირცხვილი, საჯაროდ შერცხვენა, გაბახება.

ეშმაკის კერძი – გადატ. ბოროტი, უკულმართი ვინმე.

ეშმაკის კვალზე შემღბარი -- ეშმაკის თანახმარი; გადატ. ბოროტ საქმეზე გადასული.

ეშმაკის მახალა – გადატ. ძალზე უშნო, უკეთური სახისა, ცუდი შესახედავი (ითქმის ქალზე).

ეშმაკის მოციქული მაცდური; მატყუარა.

ეშმაკის მუშა -- გადატ. უნაყოფო მუშა, ღროს დამკარგავი, გამოუსადეგარი მუშა.

ეშმაკის მუშა ხლება – ავი საქმის მკეთებელი, ბოროტი საქმის ჩამდენი გახლება.

ეშმაკის ფხვების მომჭრელი – გადატ. ქლეხა, გაიძვერა, მოხერხებული, გაქნილი ადამიანი.

ეშმაკის ფხვი – ეშმაკის მსგავსი, ეშმაკის ტოლი; გადატ. მოხერხებული, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა.

ეშმაკის შეჯღომა – გადატ. რამე არასასურველის აკვიატება, გაბოროტება, ცუდ გზაზე დაღგომა.

ეშმაკის შეჯღომა გვერღებში – გადატ. ბოროტის განზრახვა, სიავის გზაზე დაღგომა, რამე ცუდის გავლება გულში.

ეშმაკის ცხენზე შეჯღება – გადატ. გაჯიუტდება, გაკერპდება, თავისი ნათქვამის გატანა, ბოროტის განზრახვა.

ეშმაკის ცხენიდან ჩამოსვლა – გადატ. ჯიუტობაზე, კერპობაზე ხელის აღება, გულიდან გადაყრა ეშმაკობისა.

ეშმაკის წილი – იგივეა, რაც ეშმაკის კერძი.

(ეშააკის) ჯორჯე შეჯღება – გაჯიუტდება, უკუღმართად მოიქცევა.

ეშააკისათვის სულის მიყიდვა გადატ. ისეთი ბოროტების ჩადენა, რაც სულს წაწყმედს, ავკაცობა. კაცისკვლა.

ეშააკა ბიტომა—ეშააკი გაგინათესავდა; გადატ. ეშააკის თვისებები შეიძინე, გაავლი, გაეშააკდი, ეშააკის ხასიათისა და ბუნების გახდი.

ეშააკა ჩამოგვიარა გადატ. ცუდად წაგვივიდა საქმე; დავინავსეთ, დავითარსეთ, ავირ-დავირიეთ, ავ. ბოროტ საქმეს დავადექით.

ეშააკა წაიღოს, ეშააკა იცის (ვინმეს თავი და ტანი) – ეშააკი დაეუფლოს, ეშააკისა იყოს.

ეშააკს ააწყვეტინებს – გადატ. უშნოა, ცუდი გარეგნობისაა, ჯოჯოხეთის მაშხალაა.

ეშააკს არ სძინავს – გადატ. სიფრთხილესა საჭირო, ვინ იცის, რა მოხდეს.

ეშააკს აუტანია – გადატ. ცუდად იქცევა, გაბოროტებულია, სწორი გზიდან არის გადაცდენილი.

ეშააკს აუტანისარ – გადატ. ეშააკს გადაუხრიხარ, საეშააკო საქმე დაგიწყია, სწორი გზიდან გადაგიხვევია, თავი დაგილუპავს.

ეშააკს თვალთ არ უჩანს – გადატ. სიფრთხილეს გემართებს, ვინ იცის, რა მოხდეს; ცუდი რამაა მოსალოდნელი.

ეშააკს თვალი არ უჩანს – გადატ. ხიფათია მოსალოდნელი, მასაძლებელია რამე მარცხი მოხდეს. ეშააკს არ სძინავს.

ემშაკს მიაჭურთხა იგივეა, რაც ეშმაკს შეაჭურთხა, დაგმო ეშმაკეული.

ემშაკს ნემსის ყუნწი აკვრენს – გადატ. ეშმაკია, გაიძვერაა, ოინბაზია.

ემშაკს სული მიჰყიდა – გადატ. ადამიანურზე, კეთილშობილურზე, ყველაფერზე ხელი აიღო, გააკაცდა, ეშმაკი შეუჯდა; არავითარ აკაცობას არ მოერიდა.

ემშაკს შეჭურთხება – გადატ. თავის არიდება ცუდი საქმისა და ბოროტებისათვის.

ემშაკსაც შეაცდენს ეშმაკსაც მოატყუებს, ცუდს საქმეს ჩაადენინებს; გადატ. დიდი გაიძვერა ვინმეა, ეშმაკზე ეშმაკია.

ემსზე (ემსში) მოდის, ემსში შედის – რამის სიყვარული, სურვილი უჩნდება, რამე გაიტაცებს, მზიარულდება.

ემსზე მოსული (ემსში შესული) – ვინც ემსზე მოვიდა, ვინც ემსში შევიდა, აღტაცებული, აღფრთოვანებული, გატაცებული.

ემსში მოჰყავს – რამის სიყვარულს, სურვილს აღუძრავს, იტაცებს.

ემსში შესული – გალამაზებული, გამშვენებული, ეშხიანი.

ემოსავით თავისკენ მოთლა – გადატ. მხოლოდ თავისთვის ზრუნვა, თავისკერძობა.

✓ *ეჩო* – ხის სათლელო იარაღია, პირბრტყელი და თოხნით ძოხრილი (ნაფოტებს ისვრის მხოლოდ მთლელისკენ).

მჭვი მიაქვს – ეჭვი უჩნდება, საეჭვოდ ძიიჩნევს (ვინმეს ან რამეს).

მჭვი შმაქვს (მჭვს შვიტანს, მიიტანს) ეჭვის თვალით შეხედავს, საეჭვოდ მიაჩნია (ძიიჩნევს), ეჭვდება.

მჭვი შესდის საეჭვოდ მიაჩნია, ეჭვი აღეძვრება, უჩნდება, - ეჭვდება.

მჭვის თვალთ უყურებს (შესედავს) ეჭვით უყურებს (შეხედავს), - ეეჭვება. შემოწმებას თვლის საჭიროდ, კრიტიკულად უყურებს.

მჭვს აართმევს – ეჭვს აიღებს (ვინმეზე).

მჭვს ბაივლებს (ბულში) – ეჭვს გაიტარებს, ეჭვს გაიჩენს (გულში).

მჭვს ბარეშეა – ეჭვი არ არის, უეჭველია, ნამდვილია.

მჭვს იღებს – ეჭვი მიაქვს (ვინმეზე ან რამეზე), ეჭვი უჩნდება.

მჭვში შედის – ეჭვი უჩნდება, ეჭვდება.

მჭვში შეჰყავს – ეჭვს უჩენს, აეჭვებს.

მსტიბარს, ისტიბარს არ იტმს გადატ. არ ტყდება, გულს არ იტყხს, იმედს არ კარგავს.

3

ვათენებ-ვაღამებ, ვათენ-ვაღამებ – გადატ. დრო მიძაქვს, არც თავისთვის და არც სხვისთვის თითქმის არაფერს ვაკეთებ.

ვანი არა აქვს ჩემს თავს – გადატ. არა გამიჭირდეს რა, უბედურება ამცდეს თავიდან.

✓ ერთგვარი ფორმულაა ფიცისა. იხმარება ნიშნის მოგებით.

ვანი დედასა მტრისასა წამოძახილი მტრის მიმართ ქუქარის გამოსახატავად (ზოგჯერ სინანულის გამოსახატავად); გადატ. მტერი დამარცხდეს, გულის წადილი ვერ აუსრულდეს, იძლიოს, დედას მოუკვდეს.

ვანი დედიჩემის ღმერთს – გადატ. ვაი დედაჩემის გაუბედურებას, ჩემი სიკვდილის მომსწრეს.

ვანი-ვაგლახს დააყრის – ვაი-ვაგლახს დაატეხს, უბედურებას შეამთხვევს, შავ ღღეს დააყენებს.

ვანი თუ – გამოხატავს არასასურველი შესაძლებლობით გამოწვეულ შიშს.

ვანი მის (შენს, ჩემს) მოსწრებას! – ვაი მის... სიცოცხლეს! ვაი მის... უბედურებას!

ვანი მისი (შენი, ჩემი) ბრალი! – მწუხარება, უბედურება, დიდი გაჭირვება.

ვანი, საყვარელო! დედა, საყვარელო! – სიტყვის მასალაა, გამოხატავს სიამოვნებას, მოწონებას.

ვანი, სირცხვილო! – სასირცხვილო საქმე გვემართება; გადატ. თავი გამოსაჩენი არა გვაქვს, სირცხვილით სად

დავიმალოთ? წამოძახილი – შესარცხენი, დასადრახი შექმთხვევის გამო.

პანი ქვასა და წყალს – გადატ. უბედურება გაძეფდება, საშინელება დატრიალდება, ქვეყანა დაიღუპება.

პანი შენ დღეს – მუქარა: უბედურება შენს სიცოცხლეს! გადატ. საქმე ცუდად წავა, ადვილად ვერ გადარჩები, უბედურება არ აგცდება.

პანი შენ თიებსა – უბედურება შენს თიებს; გადატ. სატკივრებმა თან გადაგიტანოს.

✓ *თია – ცხიძოვანი სიმსივნეა.*

პანი შენ ტყავს! – ცული დღე დაგადგება, კაი შენი ბრალი!

პანი შენს მტერსა და მოძულეს – უბედურება შენს მტერს და მოძულეს; გადატ. ღმერთმა კარგად გამყოფოს, უბედურება აგცდეს.

პანი შენს პატრონს – ვაი იმას, ვინც თავისად გაგულუქბს; გადატ. შენც იტყვი, კაცი ვარო?!

პანი ჩემი ცოდვის ბრალი – გადატ. დიდად კარ დამნაშავე, ვერაფერი მიშველის ცოდვილსა და ძქუტისმეტად შესაბრალისს.

პაიდან ვუიში ჩაბდება კაცისა გადატ. ერთი უბედურებისაგან თავდაღწეულის მეორე, უარეს უბედურებაში ჩავარდნა.

პაიგე დედა – დიდ გასაჭირში ვარ; გადატ. ვიღუპები, მიშველე, გაჭირვებისაგან მიხსენი, დამეხმარე, ვკვდება.

პაკეზიდაც ურემი გადაუბრუნდება გადატ. სწორ ადგილზედაც შეიძლება გადაბრუნდეს ურემი; უბე-

დურებას არ სჭირდება განსაკუთრებული, მწვავე, პირობები, ის შეიძლება მშვიდ, წყნარ სიტუაციაშიც წარმოიქმნას.

ვალალა დამყარა (დიდი ხანია) – (დიდი ხანია) მკვდარია, გამოტირებულია.

ვალალას აყრის – წყველის. - ქოქოლას აყრის; ცუდ სიტუაციას უქმნის, ცუდ დღეს აყენებს, მეტად აწუხებს.

ვალ[ებ]იდან ამოვა – ვალ[ებ]ს თავს დააღწევს, ვალს მოიშორებს, გადაიხდის.

ვალეში ვარდება – დიდად [და]ვალთანდება, ვალებს აიღებს.

ვალ[ებ]ში ცვივიან – დიდად ვალთანდებიან, ვალებს იღებენ.

ვალის აყრა – ვალის მოშორება, გადახდა; გადატ. მოვალეობისაგან გათავისუფლება, თავის დახსნა პასუხისმგებლობისაგან.

ვალს არ შეარჩენს – გადატ. სანაცვლოს მიუზღავს, საშაგიეროს გადაუხდის.

ვალს დასდებს – დაავალებს, პატივს სცემს.

ვალს (ვალად) დაადებს -- ვალში ჩაადებს. გადატ. - ვალდებულს გახდის, - დაავალდებულებს, დააკისრებს.

ვალში ჩააბდებს – ვალს დაადებს, დაავალიანებს.

ვალში ჩავარდნილი – დიდად დავალიანებული.

ვალში ჩაცვივდებიან – დიდად დავალიანდებიან.

ვალშია სხვათა წინაშე – მოვალეა, პასუხისმგებელია სხვათა მიმართ.

ვაჟკაცობაზე თავსა სდებს – გადატ. თავი ვაჟკაცად მიიჩნია, ჰგონია რომ ვაჟკაცია – სხვაზე უკეთესი.

ვაჟაკობაში... შეღბამს უმისს – ვაჟაკობას ძი-
აღწევს, - დავაჟაკდება.

ვარაუდს ბასწმისს – ივარაუდებს. გაითვალისწინებს.

ვარაუდს სწმისს – იგივეა, რაც ვარაუდობს.

ვარვარი ბააქვს (ბაუდის) – 1. ისე ძლიერ ხურს.
რომ შუქს გამოსცემს. 2. მაღალი სიცხე აქვს.

ვარსკვლავებს დაათვლევინებს გადატ. (ვინმე)
ძირს დასცა, პირაღმა გაშხლართა.

ვარსკვლავების კრეშა – გადატ. ოცნება, მიუწვ-
დომლის, შეუძლებლის ნდობა.

ვარსკვლავებს ეთამაშება – გადატ. ძალიან ლაისა-
ზია, მომხიბლავია, თვალწარმტაცია.

ვარსკვლავებს ეპოტინება – გადატ. მიუწვდომ-
ლისაკენ მიისწრაფვის.

**ვაჰ დედასა! ვანი დედასა! ჰანი დედასა! აი
დედასა!** – წამოძახილი მწუხარების, დანანების, ძუქა-
რის გამოსახატავად.

ვერ ვიართვეს – სურვილი არ (ვერ) შეუსრულეს.
იმედი გაუცრუეს, არ მოხდა ისე, როგორც სურდა.

ვერ მოგართვი მარბალიტი – გადატ. ჩემგან
ვერაფერი წაიღე, დამარცხდი, ცარიელზე დაგსვი.

ვერ წარმოიდგინ(თ) – იხმარება ჩართულ კამოთქ-
მად ფრაზად რამე დაუგვირებელი, არაჩვეულებრივი ამბის
გადმოცემისას.

ვერას წაიღებ – ძალით ვერაფერს (ვერას) წაძართ-
ბევ; გადატ. ვერ მძლევ, ვერ მომერევი, ვერ დამჩაგრავე, ვე-
რას დამაკლებ, ვერ დამიმორჩილებ.

ვერას იძებს – ვერაფერს იზამს, ვერას, ვერაფერს გახდება.

ვირასა ხლება – ვერაფერს აწყობს, არაფერი გამოსდის.

ვირაფერი შვილია – გადატ. არაფრად ვარგა, ცუდია.

ვირაფერი ჭაშნიკია – ვერაფერი გემოს ჩასატანებელია, არ ვარგა, ცუდია.

ვირაფერს ბამოაპარებ – გადატ. ვერ მოატყუებ, ეშმაკობა ვერ გაგივა მასთან.

ვირც-კი ღათვალო – გადატ. ბევრი, აურაცხელი.

ვინ იცის, ხვალეს რა მოაქვს – არაფერ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს, როგორი იქნება; გადატ. სიფროთხილე გემართებს, შეიძლება რამე უბედურება დაგვატყდეს; სიფსიზლე გემართებს.

ვინ მამაკალი! – შერცხვენის ღირსი ვიყო, თუ... (იტყვიან თავის თავზე).

ვინ მე და ვინ მეზე – გადატ. ერთმანეთის შესადარებელი არა ვართ.

ვინ მოსთვლის, ვინ მოსთვალოს – გადატ. მეტად ბევრია, იმდენი, რომ მისი ჩამოთვლა არაფერს შეუძლია.

ვინ ოხერი – ჩართული სიტყვებია; ნიშნავს: ვინ იქნება ისეთი, რომ...

ვინ წინა და ვინ უკანა – გადატ. გამოიყენება: უწესრიგობის, ქაოსის გამოსახატავად. გაჭირვების დროს გაქცევა, ერთიპეორეს გასწრება, გაქცევა განსაცდელისაგან თავის დასაღწევად, თავის საშველად.

ვინ ხართ მამაცი, სად ხართ მამაცი, ვინ ხართ გულადნი! – გადატ. გამოდით, გვიშველეთ,

ვინც ყოჩაღნი, მამაცნი და გულადნი ხართ და ქტრისა არ გეშინიათ!

ვინმეზე მიბღება - სხვის საზრუნავად ქცევა; სხვისთვის შეტოვება, მინდობა, დაკისრება.

ვინმეზე მოაბღებს - ვინმეს ანაბარად, საზრუნავად გახდის, ვინმეს შეატოვებს, მიანდობს, დააკისრებს.

(ვინმეს) სახელს ჩირქს მოსცემს - სახელს გაუტეხს, დაამდაბლებს, ღირსებას შეულახავს.

(ვინმეს ან რამის) აღსასრული ღებება - (ვინმეს ან რამის) აღსასრული მოდის, ბოლო ედება.

(ვინმეს ან რამის) ცოდვაში ღებება - (ვინმეს ან რამის) ცოდვას იკიდებს, კისერზე იდებს.

(ვინმეს ან რამის) შერა გახდება (ვინმეს ან რამის) მსხვერპლი შეიქნება.

(ვინმეს) აღმა ხნულს დაღმა უარცხავს
(ვინმეს) გაკეთებული კარგი საქმის საწინააღმდეგოს სჩადის.

(ვინმეს) მხარის ჭერა - (ვინმეს) მხარეზე ყოფნა, გვერდში დგომა, მიმხრობა.

ვინმეს (რამეს) სულს ჩაჰბერავს - რადიქ გადააქცევს, რაიმე თვისებას მიანიჭებს.

(ვინმეს, რამის) წყალობით - (ვინმეს, რამის) მიზეზით, მეოხებით, გამო, გამოისობით, დახმარებით.

(ვინმეს, რამის) ხსენება გაწყდება მოისპობა, დაიხოცება.

(ვინმეს, რამის) ხსენებაც არაა - სრულებით არ არის, არ არსებობს.

- (ვინმეს) გვერდზე დაჯდომა** – გადატ. (უფლებით, მდგომარეობით) გათანაბრება, გათანასწორება.
- (ვინმეს) გზები გაიყრება (გაიყრებიან)** – სხვადასხვა გზით წავლენ. გადატ. – დაშორდებიან ურთიერთს.
- (ვინმეს) გზის ცქერაშია (ყურებაშია), ვინმეს გზას უცქერის (უყურებს, უმსცქერის)** გადატ. ვინმეს მოლოდინშია, (მოუთმენლად) ელის (ვინმეს).
- (ვინმეს) გული არ უტყდება** – რწმენა, იმედი არ ეკარგება (ვინმეს), სასოწარკვეთილებას არ ეძლევა (ვინმე).
- (ვინმეს) გული გაფყალდება** – გადატ. თავი მობეზრდება (ვინმეს).
- (ვინმეს) გულს განგმირავს** – გულში დაჭრის ვინმეს, მოკლავს. გადატ. – გულს მოუკლავს, წყენას, ძწვავე ტკივილს, ტანჯვას მიაყენებს.
- (ვინმეს) გულს დაკოდავს** – გადატ. (ვინმეს) გულს ატკენს.
- (ვინმეს) გულისათვის ფყალში გადავარდება** – გადატ. ვინმესთვის თავს არ დაზოგავს, თავს გაწირავს.
- (ვინმეს) დედა ვაცხონე** – იტყვიან მოწონებისას ან ნიშნის ძოგებისას.
- (ვინმეს თავზე) ფისქვილის ქვა (კმვრი) დატრიალდება** – გადატ. (ვინმეს) უბედურება გადახდება თავს, (ვინმე) ბევრ ჭირს გამოივლის, ბევრ გაჭირვებას ნახავს.
- (ვინმეს) თვალ[ეხ]ი (სამუდამოდ) დაისუჭება** (ვინმე) მოკვდება, გარდაიცვლება.

(ვინმეს) თვალში – ვინმესთვის, ვინმეს აზრით. ვინმეს შეხედულებით.

(ვინმეს) იქით გზა არა აქვს – გადატ. ვინმეს გარეშე ვერ გაძლებს, უმისოდ ვერაფერს გააკეთებს.

ვინმეს კალთას დაიშარმბს – გადატ. ვინმეს შველას, მფარველობას მიიღებს.

(ვინმეს) კალთას დაიჭირს – გადატ. დახმარებისათვის, მფარველობისათვის იიმართავს (ვინმეს).

(ვინმეს) კარზე ჯოხს მიაყუდებს საძველად მიენდობა, მფარველობას სთხოვს.

(ვინმეს) კბილისა (კბილა) – წლოვანებით ტოლი, ერთი ხნისა.

(ვინმეს) კვალზე წავა – გადატ. იმავე გზით წავა, ისევე მოიქცევა. (ვინმეს) მიბაძავს.

(ვინმეს) კვალში ჩამდგარი (ვინმეს) კვალს მიყოლილი, მიდევნებული.

(ვინმეს) კუდია, კუდში დასდევს ვინმეს მუდამ თან ახლავს ვინმეს, სულ უკან დასდევს ვინმეს, დამქაშია.

(ვინმეს) მზე, დღე გაშავდება – (ვინმეს) მზე დაბნელდება; (ვინმე) მოკვდება.

(ვინმეს) მზე ჩადის – ვინმეს აღსასრული დგება; ვინმე კვდება.

(ვინმეს) მზე ჩავა – ვინმეს აღსასრული დადგება.

(ვინმეს) მზის ბააქრობს – გადატ. მოსპობს, მოკლავს.

(ვინმეს) მუსლის კირას ჯდომა გადატ. განუშორებლად, მუდმივად ერთად ყოფნა, მის გარეშე არაფრის სურვილის ქონა.

(ვინმეს) მხარე უჭირავს – (ვინმეს) ეჭხრობა.

- (ვინმეს) ნებაზე მიბღებული** - ვინმეს ნებაზე დამოკიდებული, ვინმეს ანაბარა მიტოვებული.
- (ვინმეს) ნებაზე მივარდნილი** - ვინმეს სურვილზე დამოკიდებული.
- (ვინმეს) ოსტში [ა]მოვა, ოსტიდან [ა]მოვა** - ვინმეს ჯავრს ამოიყრის, სამაგიეროს გადაუხდის.
- (ვინმეს, რამის) რიგებში ჩაღებვა** - ვინმეს (რამეს) შეუერთდება, ვინმეს (რამის) გავლენის ქვეშ მოექცევა.
- (ვინმეს, რამის) რიგებში ჩაღვრვა** - ვინმესთან (რამესთან) შეკავშირება; ვინმეს მხარეზე ყოფნა.
- (ვინმეს, რამის) სისხლით მორწყავს (რამეს)**
ბევრ სისხლს დაღვრის, ბევრ ვინმეს დახოცავს.
- (ვინმეს, რამის) სისხლით შეღებავს რამეს,**
(ვინმეს, რამის) სისხლით შეიღებავს ხელმეს
ვინმეს (რამეს) სისხლს დაღვრის, მოკლავს ვინმეს, დახოცავს რამეს.
- (ვინმეს, რამის) ხელით** - ვინმეს (რამის) საშუალებით.
- (ვინმეს, რამეს, რამე) სულს ჩაჰბერავს** - რამედ გადააქცევს, რამე თვისებას მიანიჭებს.
- (ვინმეს, რამე) სახელის ტარება** - (ვინმეს, რამე) სახელის ქონა.
- (ვინმეს) სახელი გავარდება** - (ვინმეს) სახელი გაიოქმება, (ვინმე) სახელს გაითქვამს, ცნობილი გახდება.
- (ვინმეს) სახელს ჩირქი მოეცება** - სახელი გაუტყდება, ავტორიტეტი დაეცემა, დამდაბლდება.

- (ვინმეს) სახელს ჩირქს მოსცემს** სახელს გაუტეხს, დაამდაბლებს.
- (ვინმეს) სიმაღლეზე იღბა** – გონებრივად, ინტელექტით (ვინმეს) ტოლი იყო.
- ვინმეს სისხლი აღევს კისერზე** – ვინმე ჭყავს მოკლული, ადამიანის ცოდვა აღევს კისერზე.
- (ვინმეს) სისხლი გაშრება** – მოკვდება (ვინმე), მოკლავენ (ვინმეს).
- (ვინმეს) სისხლი იღო კისრად** – (ვინმეს) სისხლი დაღვარა, (ვინმე) მოკლა.
- (ვინმეს) სისხლს ჩაუქცევს** – გააუბედურებს, დაღუპავს.
- (ვინმეს) სისხლსა სვამს** – გადატ. ვინმეს აწამებს, კლავს; არ ინდობს.
- (ვინმეს) სისხლში ხელს გაურემს** – გადატ. ვინმეს მკვლელობაში მონაწილეობას მიიღებს.
- (ვინმეს) სიტყვას ყურს არ ათხროვებს** ვინმეს ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს, ანგარიშს არ უწევს, არ აჰყვება.
- (ვინმეს) სიტყვას ძირს არ დაუშვებს** ვინმეს სიტყვას არ გადავა, აუცილებლად შეასრულებს.
- (ვინმეს) სიტყვას ძირს (დაბლა) არ დაუშვებს, მიწაზე არ დააბდებს** ვინმეს ნათქვამს ყურადღებით მოეკიდება, ანგარიშს გაუწევს, აასრულებს.
- (ვინმეს) სიტყვას კაფი გაწყდება** გადატ. მოკვდება, გარდაიცვლება (ვინმე).
- (ვინმეს) სული ხელთ უჭირავს** (ვინმეს) ბედის მის ხელთაა, (ვინმეს) ბედს განაგებს.

- (**ვინმეს**) **სულს (ბულს) თან გაიყოლებს** – გულდაწყვეტილს დატოვებს.
- (**ვინმეს**) **სულში (ბულში) ჩააპკრენს** – საშუალებას მისცემს ვინმეს გულისნადები გაიგოს.
- (**ვინმეს სურვილს, ოცნებას...**) **ფრთები ეკვამება** გადატ. (ვინმეს) სურვილი, ოცნება... ვერ ხორციელდება, ვერ სრულდება.
- (**ვინმეს**) **უბედურებაში ღებება** – (ვინმეს) უბედურების მიზეზი ხდება.
- (**ვინმეს**) **ფესთა მტვერი** – ვინმეს მონა-მორჩილი.
- (**ვინმეს**) **ფესთა მტვრად არა ღირს** – ბევრად ჩამოუვარდება. ბევრად უფრო ნაკლებია (ვინმეზე), (ვინმესთან შედარებით) უმნიშვნელოა, არარაობაა.
- (**ვინმეს**) **ფესი არ ღაიდგმება (სადმე)** – გადატ. ფესს არ დადგამს, არ მოვა (ვინმე).
- (**ვინმეს**) **ფესი ხვდება (სადმე)** – გადატ. ვინმეს ძალადობა იგრძნობა (სადმე).
- (**ვინმეს**) **ფესის ნატერფალი** – გადატ. ვინმეს მონა-მორჩილი, ლაქია.
- (**ვინმეს**) **ფიქრი დასტრიალებს** – ფიქრობს გაჩუქებით. განუწყვეტლივ მასზე, ფიქრით მასთან არის.
- (**ვინმეს**) **ფრჩხილდაც არა ღირს** – (ვინმეზე) ბევრად ნაკლებია, (ვინმესთან შედარებით) არაფერს წარმოადგენს.
- (**ვინმეს**) **ფსიჯელი თვალის პატრონი** – იტყვიან ისეთ ადამიანზე, ვინც ყოველთვის ფხიზლად არის, ვისაც არაფერი გამოეპარება, ვინც ყველაფერს ამჩნევს.

ვინმეს ქებით არყოფნა – გადატ. ვინმეს უჩიომო ქება, ღითორამბი.

ვინმეს ყბაში (ქვეყნის ყბაში) ჩავარდნა (ჩავარდნა) – ვინმეს (ქვეყნის) სალაპარაკოდ გახლება (გახლომა).

(ვინმეს) ყბაში ჩაგდება – (ვინმეს) სალაპარაკოდ, გასაკიცხად გახლომა.

(ვინმეს) ყბაში ჩავარდნა – (ვინმეს) სალაპარაკოდ გახლომა, გაკიცხვის საგნად ქცევა.

(ვინმეს) ყბაში ჩაყრის – ვინმეს სალაპარაკოს, გასაკიცხს, გასაჭორ[ავ]ს გახდის (ბევრს).

(ვინმეს) ყურამდე მიაღწევს (რამე ამბავი...)
– გადატ. ვინმე შეიტყობს, გაიგებს (რამეს).

(ვინმეს) ყურმოჭრილი ყმა, მონა, მოსამსახურე – გადატ. (ვინმეს) ნება-სურვილის უსიტყვოდ, ბრძად შემსრულებელი.

(ვინმეს) შერჩენამ! – (ვინმეს) კარგად ყოფინამ, სიცოცხლემ!

(ვინმეს) ცოდვა დადება – ცოდვას ჩაიდენს (ვინმეს მიმართ: მოკლავს და სხვ.).

(ვინმეს) ცოდვაში ჩადგომა ცოდვის ჩადენა.

(ვინმეს) ცოდვაში ჩამდგარი – ცოდვის ჩამდენი (ვინმეს მიმართ).

(ვინმეს) ცუდი (ფინთი, უკუღმართი) ფენი, ცუდი (ფინთი, უკუღმართი) ფენისა იტყვიან მასზე ვის შემოსვლასაც უბედურების მოტანა შეუძლია.

- (ვინემეს) ცხოვრების თანამგზავრი** – მეუღლე, ცოლი, მეორე ნახევარი.
- (ვინემეს) ძვირს ამბობს, ძვირშია** – (ვინემეს) საყვედურს ამბობს; ლანძღავს (ვინემეს).
- (ვინემეს) ჭირის სანაცვლო შიქნება** – ვინემეს სანაცვლოდ მოკვდება, გარდაიცვლება.
- (ვინემეს) ჭკუაზე ივლის** – გადატ. ბრმად იმოქმედებს ვინემეს მითითებით, (ვინემეს) ნებაზე ივლის.
- (ვინემეს) ჭკუაზე მოვა** – ისე მოიქცევა, როგორც (ვინემეს) უნდა.
- (ვინემეს) ჭკუაზე წავა** – იგივეა, რაც ვინემეს ჭკუაზე ივლის.
- (ვინემეს) ჭკუაზე წავიდა** – ვინემეს მითითების მიხედვით ბრმად მოიქცა.
